

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№51 (1077) 11 - 12 მაისი, 2015 წელი

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს ქობულეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილი ბავშვების ოჯახებს!

ირაკლი ღარიბაშვილი ქობულეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს:

„ამ უბედურებამ მთელი საქართველო შეძრა. თანაგრძნობა და ვიზიარებ დაღუპულთა ოჯახების მწუხარებას. უბედურ შემთხვევას 45 ადამიანის სიცოცხლე გადაურჩა, მათ შორის - 31 მოზარდის. ისინი ცეცხლმოკიდებული შენობიდან პოლიციელებმა და მაშველებმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გამოიყვანეს“.

მამუკა ჩარკვიანი: „ლომი ვარ, აბა, რა ვარ!“

რას ფიქრობს დემოკრატიაზე და ვის ეძახის იდიოტებს — საუკუნის მომღერდის არა-ჩვეულებრივი დაბრუნება

„თავისუფლება რუსთაველზე მოფსმან არაა“

გვ. 4-5

ექსკლუზივი

ხელისუფლებაში ახალი განხეთქილება მნიშვნელოვანია?



გვ. 3

ვინ აფერხებს თავდაცვის კანონის დამტკიცებას — მთავრობა თუ პარლამენტი

აკონსტიტუციური ზრდის ტემპით, საქართველო რაპიდული ლიბერალია!

ფაქტები, რომელთაც თვითონ ვერ ხედავს გვ. 7

მიუხედავად დიდი გლეჯი



ნაციონალთა არსებობის დაპირებები

გვ. 2

გლეჯის ტიხის ყოფილი მასხარა თავს გაქსაოზით ირჩენს

„არ მომკლათ, რა!“ — სახელმწიფომ ოფიცერ ჩიჩუას პირადი დაცვის დანიშვნაზე უარი უთხრა



გვ. 9

იუსტიციის დღიური

„ვერსია“ პირველი „ფანჯარა“ სკანდალზე საგაზეთო პუბლიკაციას წყაბას! ბეგი და ბესო გედენიძეები ბიზნესდავს სსსმრტოში აგრძელებენ გვ. 6

ნაციონალთა არხის რეალური დაპირებები ანუ მიზან დიდი ბლავი

საქართველო სიღარიბის გარეშე

5 ახალი სოფელი ინიციატივა

- 100 ახალი სოფელი
- მასშტაბური პროგრამები
- დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები
- 100-ლარიანი სტიპენდია
- 1000 ლარი ყველა ახალშობილს

ქიჩარი სოფელი - ქიჩარი საქართველო

100 ახალი სოფელი

საქართველო

დასაქმება! დასაქმება! დასაქმება!

იაფი კაპიტალი

იაფი კაპიტალი

იაფი კაპიტალი

გიორგი იაშვილი

ნაციონალური მოძრაობის წევრებმა პარლამენტში მისული პრემიერი და მთავრობა უმოქმედობაში დაადასტურეს, წინასწარჩვენო დაპირებები არ შეასრულეთ. უფრო მეტიც, ნაციონალურმა ისიც წამოსცდა, ჩვენ რასაც ვპირდებოდით, ავად თუ კარგად, ვაკეთებდით და ეს ფაქტიაო. რა უფლება გვაქვს, პარლამენტის წევრებსა (თუნდაც ისინი ოპოზიციონერები იყვნენ) და ხალხის რჩევებს არ დავუჯეროთ, მაგრამ...

2008 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ განვითარების 50-თვიანი გეგმა დადო და გეგმის პირველ ხაზში მთავარ დაპირებად „გაგამთლიანებთ საქართველოს“ ეწერა. როგორ გაამთლიანეს, აგვისტოს ომის ჩათვლით, ჩვენი ქვეყანა, ყველა ერთად ვხედავთ. რაც შეეხება დანაპირების გაგრძელებას, უფრო საინტერესოა:

„საქართველოს დაუბრუნებთ ევროპულ ოჯახში. შევალთ ნატო-ში და ჩვენი საზღვრების ურღვევობას სადარჯოზე დაუდგება მთელი ცივილიზებული სამყარო. ეს იქნება საქართველოში ახალი ოქროს ხანის დასაწყისი და უმუშევრობის პრობლემა საქართველოში სამუდამოდ დამთავრდება“.

ნატო-ს კარზე ვაკაკუნებთ, ვაფხაჭუნებთ თუ ვაბრახუნებთ, მართლა ვერ გეტყვით, მაგრამ ეს კარი ღია რომ არ არის, ფაქტია და ისიც ფაქტია, რომ ნაციონალურმა დანაპირები ვერ შეასრულეს და ახალი ოქროს ხანის დასაწყისს ვინ ჩივის, ლამის ნეოლითის ხანაში დავბრუნდით.

„ავამოქმედებთ ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, რომელიც აშენდება 450-მდე ქარხანა და დასაქმდება 20 000-მდე ადამიანი. ავაშენებთ ახალ პორტს, რომელიც არსებულზე 3-ჯერ უფრო დიდი იქნება და თავისუფალ სამრეწველო ზონასთან ერთად მთლიანად საქართველოში 35 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის“, — გაგიკვირდებათ და, ესეც მათი დანაპირებია.

450 ქარხანა ქალაქზეც კი ვერ გახსნეს. რაც შეეხება 35 ათას სამუშაო ადგილს, რა ვიცი, ნაციონალური ამბობდნენ, ტაქსისტები რომ მომრავლდნენ, ესეც ხომ სამუშაო ადგილიაო. ისე, 35 ათასი ტაქსი კი იქნება საქართველოში და შეიძლება ითქვას, ეს პირობა „შესრულდა“.

„ავაშენებთ და გავხსნით ევროპასთან შემაერთებულ რკინიგზას, რომელიც 10 000 ოჯახს გაუჩენს სტაბილურ შემოსავალს. ჩვენი 50-თვიანი პროგრამის მიზანია, სიღარიბესთან ბრძოლაში დავეხმაროთ ჩვენს მოხუცებს, რათა სიბერე იყოს სიღარიბის გარეშე. გაისად საპენსიო პაკეტი 100 ლარით გახდება...“

ეს დაპირებები 2008 წელს დარიგდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ 2009 წელს პენსია 100 ლარი უნდა ყოფილიყო. ამ დაპირებამ იმ ფსოუს წყალი დალია, კლიპად რომ გადაიღეს ნაციონალურმა და კლიპებით ცდილობდნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაბრუნებას. რაც შეეხება ევროპასთან შემაერთებულ რკინიგზას, სიმართლე გითხრათ, ამ დაპირების გაჟღერების შემდეგ, რამდენიმე ნაციონალმა თავდაცვ ცეცხლი გაუკვირვა, რა სისულელეს ვამბობთო, მაგრამ არა უშავს, მთავარი ხომ არჩევნებში გამარჯვება იყო და მერე რა, თუ 2008-ში გასაერთიანებულ ქვეყანას ასეთულობით სოფელი ჩამოვაცხერთ და მარწყვის ტორტის ნაჭერივით მივართვით მტრებს.

„ჩვენი 50-თვიანი პროგრამის მიზანია, დავეხმაროთ ქართულ სოფელს, ფეხზე დავაყენოთ სოფლის მეურნეობა, გავაუმჯობესოთ სოფლის ცხოვრების პირობები. ჩვენი პროგრამით ავაშუქავთ საშუალოდ 100 ახალ სოფლის მეურნეობის სანარმოს ყველა რეგიონში და დავასაქმებთ სოფელს. მომავალი 25 თვის განმავლობაში გაზიფიცირებული იქნება 2 000 სოფელი, რაც ნიშნავს თითქმის მთელი საქართველოს სრულ გაზიფიკაციას. უფრო მეტად დავეხმარებით ფერმერებს ხენა-თესვაში, გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ სოფელს ჰქონდეს გაზი, კარგი გზა, სარწყავი წყალი, თანამედროვე სკოლა და მედ-პუნქტი,“ — ეს დაპირება ამჟამად სოფელსა და გლეხზე იყო გათვლილი. ერთი გაფიქრება ისიც ვიფიქრე, დაკარგულ სოფლებში ხომ არ დაინყეს გაზის შეყვანა და მერე ესენი ხომ არ დაიბრალებენ, დაგპირდით და რა მნიშვნელობა აქვს, გაზს „სოკარი“ შემოიყვანს თუ „როს-გაზი“, მაგრამ იმ სოფლებში სახლებიც დაწვეს და...

საინტერესოა სოფლის მეურნეობის 100 ახალი სანარმოს გახსნა. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ 100 სანარმო იმ 450 დაპირებულ სანარმოში არ შედიოდა ანუ საერთო ჯამში, 550 სანარმო უნდა აშენებულიყო 50 თვეში, ესე იგი, თვეში უნდა გახსნილიყო 11 სანარმო. ხვდებით, როგორ ეკონომიკურ აფეთქებასთან გვექნებოდა საქმე? ვერ გეტყვით, მაიდან უნდა მოეტანათ ფული ან ვის უნდა მოეტანა და ექვი მაქვს, არც თავად იცოდნენ, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ იყო...

„საშემოსავლო გადასახადს 15%-მდე შევამცირებთ, რაც საშუალებას მოგვცემს შევექმნათ მეტი სამუშაო ადგილი. 1200-ზე მეტი კარგად აღჭურვილი გადაზიდვით სოფლის ექიმი იზრუნებს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ეს არის ჩვენი მანიფესტი, ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა, ეს არის გზა, რომლითაც ვივლით მომდევნო 50 თვის მანძილზე. საქართველოს სიღარიბისგან გათავისუფლება. საქართველო გაბრწყინდება“, — ასე ომბინანდ სრულდებოდა დაპირებების ჩამონათვალი და...

სანამ ამ ხელისუფლების 100 ქარხანას მოიკითხავთ, ეგებ, ჯერ თქვენ 550 სანარმო გვანახოთ, ბატონებო!



შს-მ ყაჩაღობის ფაქტი სხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნუცუბიძის მე-4 მ/რ სუპერმარკეტ „ზღაპარი“ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე ძმები — 1990 წელს დაბადებული გიორგი დ. და 1989 წელს დაბადებული ბექა დ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობის შესახებ შეტყობინება 112-ის საშუალებით მიიღეს. ადგილზე მისულებს კი სამი ნიღბიანი პირი დახვდათ, რომლებიც ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის წევრებმა ბრალდებულებს მოუწოდეს, დამორჩილებოდნენ მათ კანონიერ მოთხოვნას და ჩაბარებოდნენ თემცვა მათ მიმალვა სცადეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ორი პირი შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია ფეხის არეში, რაც შეეხება მესამეს, მიმალვა შეძლო.

ადგილზე გამოძახებულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ბრალდებულს პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინა და საავადმყოფოში გადაიყვანა. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მიმალვაში მყოფი ბრალდებულის დასაკავებლად ამ დრომდე ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევის ფაქტებზე მიმდინარეობს. (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და 353-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“



შს-ს საპატრულო პოლიცია მედიისთვის სემინარი გააპრტა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარებული მედიასემინარის ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა. მედიასემინარი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მიზნად ისახავდა საპატრულო პოლიციის მუშაობის, მეთოდებისა და განხორციელებული სიახლეების გაცნობას და ამ საკითხებში ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლებას. ამ ტიპის სემინარი საპატრულო პოლიციაში პირველად ჩატარდა.

შს-ს მიერ ჩატარებული სემინარი თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან შედგებოდა. სწავლების თეორიულ ნაწილზე მედიის წარმომადგენლებს საპატრულო პოლიციის დირექტორის მოადგილემ, ლევან მაჭავარიანმა დეპარტამენტის მუშაობის სტილი, სტრუქტურა და მეთოდები გააცნო. სემინარზე ასევე საუბარი იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საპატრულო პოლიციის მუშაობაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე. მედიის წარმომადგენლებს თეორიულ ნაწილში ასევე გააცნეს ყველა სიახლე, რაც ბოლო პერიოდში საპატრულო პოლიციაში განხორციელდა. სემინარზე დაინსვა ბევრი საინტერესო კითხვა რაზეც ლევან მაჭავარიანმა ამომწურავი პასუხები გასცა.

მედიასემინარის ფარგლებში, ჟურნალისტებმა დაათვალიერეს პატრულ-ინსპექტორის აღჭურვილობა, შეიარაღება და ავტომანქანები. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მედიის წარმომადგენლებს დეტალურად აუხსნეს და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს ახალი ტექნიკური საშუალებების შესახებ.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

თინა ხილაშვილი: „არავის შევპირებოვართ სამოთხას ოთხ წელიწადში!“

თავდაცვის მინისტრის თინა ხილაშვილის თქმით, ოთხ წელიწადში შესაძლებელია, შეცვალო პერსპექტივა და ეს აჩვენო საზოგადოებას.

„ოთხი დღის წინ შევუერთდი ამ სამთავრობო გუნდს. მე კი არასოდეს ვიღებ გადაწყვეტილებას, თუ არ ვიცი, წინ რა არის. დიას, იმიტომ ვართ მთავრობის წევრები, რომ დარწმუნებული ვარ, 2016 წლის ბოლომდე ანუ არჩევნებამდე მოვახერხებთ, საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ რეალურად შესაძლებელია, ოთხ წელიწადში შეცვალო პერსპექტივა. ჩვენ არავის შევპირებოვართ სამოთხეს ოთხ წელიწადში, განსაკუთრებით იმ გამონაკვეთების ფონზე, რომელიც საქართველოს გარშემოა, მაგრამ ის, რომ აჩვენო სწორი პერსპექტივა, შესაძლებელია და ამის უდიდესი ნაწილი უკვე სახეზეა. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანო“, — განაცხადა ხილაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“



ხელისუფლებაში ახალი განხილვა მნიშვნელოვანია?

ვინ აფერხებს თავდაცვის კანონის დამტკიცებას — მთავრობა თუ პარლამენტი

ენიშ კობახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტმა და პრემიერმა კინკლაობის მორიგი, ერთკვირიანი რაუნდი გადალახეს და 9 მაისს, გამთენიისას, პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა კიდევ ერთხელ გამოუცხადა. ამასობაში კი, ხელისუფლების შტოებს შორის ახალი განხილვა მნიშვნელოვანია, რომლის საფუძველიც თავდაცვის შესახებ დაკონსერვებული კანონპროექტია. ამ კანონის შესახებ თავდაცვის ახალმა მინისტრმა, თინა ხიდაშელმა პირველად მაშინ განაცხადა, როცა პრემიერმა ლარიბაშვილმა მინისტრის პოსტზე წარადგინა. მეორედ ხიდაშელი ამ თემას პარლამენტში, მინისტრთა კაბინეტის საკომიტეტო მოსმენების დროს შეეხო. თავად კანონი უკვე მესამე მინისტრს ითვლის — მთავრობის სხდომაზე განხილვად აღასანიამ გაიტანა, თუმცა თავადვე შეაჩერა. მოგვიანებით, მინდია ჯანელიძეც ასევე მოიქცა. ხიდაშელმა კი ეს თემა ჯერ კიდევ გამინისტრებამდე „ანია“.

„ჩემი ერთ-ერთი ამოცანაა, თავდაცვის უწყებისა და გენერალური შტაბის ანუ სამოქალაქო და სამხედრო ნაწილის გაყოფა ბოლომდე მივიყვანოთ. დღემდე პრობლემები აქვს თავდაცვის კანონს პარლამენტში. ვფიქრობ, ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, რათა რეალურად გადავიდეთ იმ სტანდარტზე, რასაც ნატო და საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩვენი წევრობა ითხოვს. რა თქმა უნდა, იქნება შემთხვევები, როცა შეიძლება, სამხედრო ფორმაში მნახოთ, მაგრამ ეს თავდაცვის მინისტრის მთავარი საქმე არ არის. თავდაცვის მინისტრი ჯარს აქედან, სამოქალაქო სექტორიდან უნდა ემსახუროს და არ უნდა გახდეს ჯარისკაცი. სწორედ ესაა 21-ე საუკუნის მოთხოვნა, რომლის წინაშეც ვდგავართ. ვერ ვხედავ პრობლემას ვერც ჯარისკაცის ფორმაში, ვერც — თავდაცვის სამინისტროდან ჯარის მსახურებაში, მაგრამ ეს ზღვარი ნათლად უნდა გავავლოთ“, — განაცხადა ხიდაშელმა მინისტრად დამტკიცებამდე, რამდენიმე დღის შემდეგ კი დასძინა, რომ „არამხოლოდ თავდაცვის კანონის, არამედ ზოგადად, კანონმდებლობის მონესრიგება იქნება ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რაც იურისტი მინისტრს შესაძლებელია“. ხიდაშელის გამოსვლებიდან, ცხადია, დარჩა კითხვები: თუკი ასეთი მნიშვნელოვანია, რატომ აფერხებს პარლამენტი კანონის განხილვას ან, როცა საუბარი თავდაცვის სამინისტროში სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციების გაყოფაზეა, რაც აქამდეც დარეგულირებული იყო, ამ მეტად საჭირო კანონის არსი რაში მდგომარეობს, რა წერია კანონში ისეთი, რაც თავდაცვის სისტემას უკეთესობისკენ შეცვლის?

ამის შესახებ, „ვერსიაში“, პირველ რიგში, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს ჰკითხა, რომელმაც განაცხადა, რომ თავდაცვის შესახებ კანონი მთავრობის ინიცირებულია და როცა მთავრობის საპარლამენტო მდივანი იტყვის, კომიტეტში კანონის განხილვას მსვლელობაც მაშინ მიეცემა. ხიდაშელის ფრაზა კი, კანონს პარლამენტში აქვს პრობლემები, რა თქმა უნდა, მასმედიას დაბრალდა: „მე და თინა ერთმანეთს შევხვდით და ამ კანონზეც ვისაუბრეთ... განხილვა იმის გამო შეჩერდა, რომ კანონპროექტი ცვლილების შეტანა ჯერ კიდევ ალასანიას სურდა, მოგვიანებით, მინდია ჯანელიძეს. მათი ინიციატივა არ ყოფილა, კანონი დროულად განხილულიყო, თორემ კომიტეტი ამისთვის ყოველთვის მზადაა. თინამ ეს ძალიან კარგად იცის და ალბათ, მედიამ მისი განცხადება არასწორად გაიგო“, — განაცხადა სესიაშვილმა. მისივე თქმით, საკომიტეტო მოსმენებამდე კანონპროექტს, ალბათ, ხიდაშელიც შეაყოვნებს. „მას სურს, ფუნქციების გამიჯვნის კუთხით უფრო აქტიური ნაბიჯები გადაიდგას, რასაც მხოლოდ მივესალმები. კანონში საუბარია სტრუქტურულ ცვლილებებზე. სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის ფუნქციების დაჯერება გაყოფილია. აქ საუბარია ამ ფუნქციების განსაზღვრასა და შემდგომ დახვეწაზე. ეს განვითარების ჩვეულებრივი პროცესია“, — ამბობს სესიაშვილი.

ამ ჩვეულებრივ პროცესში „არაჩვეულებრივი სწორედ ისაა, რაზეც არაფერია საუბრობს: თავდაცვის კანონის ის საკანონმდებლო პაკეტი, რომლის რამდენიმე პუნქტიც უკვე დამტკიცებულია — მაგალითად, ეროვნული უშიშროების შესახებ კანონი, ასევე, კანონი ეროვნული უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის კოორდინაციის შესახებ და სხვა სტრატეგიული და უწყებრივი ხასიათის დოკუმენტებზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა. კანონპროექტში ორი საინტერესო სიახლეა ჩადებული, რასაც თავდაცვის სამინისტროში სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციების გამიჯვნასთან კავშირი არ აქვს. ამ თემაზე „ვერსიაში“ იურისტსა და ცენტრ „მომავლის ინიციატივების“ დამფუძნებელ ლევან ალაფშვილის ესაუბრა:



„კონსტიტუციაში წერია, რომ სამხედრო ძალების შემადგენლობას განსაზღვრავს პარლამენტი და კანონი. ამ კანონპროექტში კი წერია, რომ ყველაფერ ამას მთავრობა უნდა განსაზღვრავდეს. ეს ამკარა წინააღმდეგობა კონსტიტუციასთან, რისი უარყოფაც, სხვათა შორის, არავის უცდია. ამავე კანონშია გენერალური შტაბის უფროსის დაქვემდებარების საკითხი. კონსტიტუციით, შტაბის უფროსის დანიშვნა-გათავისუფლება პრეზიდენტს ეხება, უფრო სწორად, გენშტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალთან ანუ პრეზიდენტთან. ამ ჩანაწერის მიხედვით, იგი ანგარიშვალდებულია არა სამხედრო ძალების მთავარსარდალის და, სხვათა შორის, არც პრემიერის, არამედ თავდაცვის მინისტრის წინაშე. სწორედ ამიტომ თქვა თავის დროზე ალასანიამ საჯაროდ, რომ კანონი შეიცვლება. გულწრფელად რომ ვთქვათ, კანონპროექტი მიზნად სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტის გამოიჯვანებას კი არ ისახავდა, არამედ, პოლიტიკის გაგრძელება იყო — ეს გახლდათ პრეზიდენტის, როგორც სამხედრო ძალების მთავარსარდალის ინსტიტუციური დასუსტების მცდელობა. თავდაცვის იმდროინდელმა მინისტრმა არა მხოლოდ პრეზიდენტის წინააღმდეგ გაილაშქრა, არამედ პარლამენტის წინააღმდეგაც, რადგან პროექტში მითითებულია, რომ შეიარაღებული ძალების შემადგენლობას პარლამენტი კი არა, მთავრობა განსაზღვრავს“.

როგორც ალაფშვილი განმარტავს, მთავრობას ამით კიდევ ერთი, სამხედრო კომპეტენციის მიტაცება სურდა. ალბათ, თვეების განმავლობაში, ეს კანონპროექტი იმიტომაც დაკონსერვდა, რომ ვიღაცამ კონსტიტუციასთან მისი ამკარა შეუსაბამობა შენიშნა, თანაც პრეზიდენტისთვის ჯერჯერობით სამხედრო ძალების მხედართმთავრობა არ ჩამოურთმევიათ. ყველაფრის მიუხედავად, ალასანიამ პროექტი, ანტიკონსტიტუციური პუნქტებიანად, მინისტრებს წარუდგინა და მათაც მოიწონეს. ისიც საინტერესო დეტალია, რომ კანონზე მუშაობისას თავდაცვის სამინისტრომ არც შენიშვნები გაითვალისწინა, მთავრობამ კი ლევან ალაფშვილის ლობისტად დარეგისტრირებაზე უთხრა უარი — სწორედ ამ თემაზე იურისტმა მთავრობას ორი ინსტანციის სასამართლოში მოუგო: „თავდაცვის სამინისტროს მიერ ამ კანონის მომზადების პროცესში ჩავერთო და მიუვითო, რომ არსებითად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რასაც ნეგატიური შეფასებები მხოლოდ ქვეყნისაში კი არა, მის გარეთაც შეიძლება მოჰყოლოდა. მიუხედავად ამის, კანონპროექტში არაფერც ცვლილებები შევიდა, არამედ, შარშან, აპრილში მთავრობამ ეს კონცეფცია და მისი შინაარსი მოიწონა: 18 მინისტრისთვის მისაღები აღმოჩნდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო ეს ორი საკითხი. კანონის მომზადებაში კი ჩართული გახლდათ თავდაცვის მაშინდელი მინისტრი, რაც ასევე სამზუნხარაა. სხვა საქმეა, ეს პროექტი კანონად ჯერ არ ქცეულა, მაგრამ მთავრობამ მხარი უკვე დაუჭირა. იმის გამო, რომ პროექტის შემუშავებისას შენიშვნებს დიდი ენთუზიაზმით არ იღებდნენ და არ მინდოდა, ეს კანონპროექტი კანონად ქცეულიყო, ლობისტად რეგისტრაციის მოთხოვნით პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს მივმართე. მათ შორის ერთმა, მთავრობამ უარი მიიხრა, რაც სასამართლოში გავაცხივრე. ჩემი მთავრობამ ძალიან სამარცხვინო მარცხი განიცადა — პირველად 10 თებერვალს და ახლა, 5 მაისს, სააპელაციო სასამართლოში. 2 ინსტანციის სასამართლომ მთავრობას უთხრა, კანონშიღმა ქმედებები საჯარო სამსახურში მიუღებელია და თქვენც გადაწყვეტილებები მხოლოდ კანონს დაფუძნეთ. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კი ლობისტად იმიტომ დარეგისტრირდა, რომ იგი, როგორც მთავარსარდალი, დამერწმუნებინა, ამ კანონისთვის ვეტო დაედო, თუმცა პარლამენტშიც საკომიტეტო მოსმენები ჯერ არ დაწყებულა“.

ახლა ჯერი რესპუბლიკელ თინა ხიდაშელზეა, რომელიც, ჯერჯერობით, თავდაცვის კანონის ამ ორ ანტიკონსტიტუციურ ნაწილზე არ საუბრობს, თუმცა იმედა, როგორც ყოფილი კანონმდებელი, არასამთავრობო სექტორიდან მოსული და ბოლო ბოლო, იურისტი მინისტრი თავდაცვის დაკონსერვებულ კანონსაც დაძრავს და ზემოხსენებულ ორ ჩანაწერსაც შეცვლის.



პინაგან გომელაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილსა და მთავრობის წევრებთან ერთად, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო და მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულ გმირებს პატივი მიაგო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვეტირანებს ფაშინაშვილს გამარჯვების 70-ე წლისთავი მიულოცა. „მინდა, დღევანდელი დღე მივულოცო ჩვენს ვეტირანებს — ფაშინაშვილს გამარჯვების 70-ე წლისთავი, ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე. ცოტა დარჩა ძალიან, ბევრი დაღუპულია და მათ სულელებს პატივი მივაგებ ბატონმა პრემიერმა და მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

„ვერსიანიუსი“



შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს, ვუპასუხოთ ბოლო პერიოდში მედიასაშუალებებით გავრცელებულ რამდენიმე ქსპერტის მოსაზრებას საზღვრის კვეთის პროცესში ფოტოგადაღების წესის შეცვლასთან დაკავშირებით. ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. საზღვრის კვეთის დროს ფოტოსურათის გადაღება, რომელიც პერსონალური მონაცემების შეგროვების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, სტანდარტულად ხორციელდებოდა ყველა პირის მიმართ, რომელიც კვეთდა სახელმწიფო საზღვარს, ამასთან განსაზღვრული არ იყო ფოტოგადაღების მიზანი და მონაცემთა შენახვის ვადა. ამასთანავე, ყველა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში ხორციელდებოდა მუდმივი ვიდეომონიტორინგი, ხოლო საპასპორტო კონტროლისას გამოიყენებოდა პირის იდენტიფიცირების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებზე (მათ შორის ფოტოსურათზე) წვდომა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან კონსულტაციისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეცვალა არსებული პრაქტიკა: კანონმდებლობით განისაზღვრა მონაცემთა შენახვის ვადა და ის შემთხვევები, როცა პირის იდენტიფიკაციის მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა მოქმედების განხორციელება, მათ შორის ფოტოგადაღება და სხვა სახის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება. ფოტოგადაღების უკვე დღეს მოქმედი სტანდარტი, რომელიც მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ითვალისწინებს ფოტოგადაღებას, სრულად შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას, უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროპორციულობასა და ადეკვატურობას და არ აზიანებს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესს. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტთან და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროკომისიამ საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველომ პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნები წარმატებით შეასრულა.

„ვერსიანიუსი“

მანო პავლიაშვილი

„მოგონებაა სუყველაზე დიდი ტკივილი...“ — ეს ცოცხალი ლეგენდაა, მამის ლექსზე დაწერილ საკუთარ სიმღერას მღერის და... იცის, რომ სიყმანვილე აღარ დაბრუნდება... მან, მამისა არ იყოს, შეურაცხყოფილი თოვლის ფასიც იცის და ისიც, რომ „თავისუფლება ლომთა ხვედრია“. „ლომი ვარ, აბა, რა?!“ — მეტყვის საუბრის დასასრულს და მინიკონცერტს მოაწყობს... სხვათა შორის, ამ სახლში ტრადიციას: ყველას, ვინც ესტუმრება, მინიმუმ, 12 სიმღერა ცოცხლად უნდა შეუსრულოს. საერთოდ, სულ ცოცხლად მღერის. „კონცერტებზე გიტარა სპეციალურად მიმაქვს, რადგან მსმენელს არ ეგონოს, ცოცხლად არ ვმღერი — გიტარაზე ფონოგრამას ვერ გააკეთებ. მსმენელის მოტყუება არ შეიძლება — უყვარხარ და ფულს იმიტომ იხდის, მოგისმინოს, შენ კი რადიოს ურთავ, პირს ალებ და არ აჩვენებ, როგორ განწყობაზე ხარ. ასეთ დროს არც მართალი კაცი ხარ და არც ხელოვანი. აბა, მსახიობმა რაღა ქნას, სცენაზე როგორ მოიტყუოს? მომღერალიც მსახიობია“, — მეუბნება და... ოთახში ისევ გენიალური მუსიკა იღვრება... ისე, იმ საღამოს შინ რომ მივედი, მის სიმღერებს, რამდენიმე საათი, როგორც იტყვიან, უწყვეტ რეჟიმში ვუსმენდი!.. მალე დიდი აუდიტორიის წინაშე ისევ წარსდგება, მანამდე კი „ვერსია“ საუკუნის მომღერლის, მამუკა ჩარკვიანის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

— მამუკა, ჭეშმარიტი შემოქმედი გიყი უნდა იყოს? — აუცილებელი არაა, მაგრამ წყნარი შემოქმედი არ მინახავს... ხანდახან მეც არაორდინალური ვარ. ბოლოს და ბოლოს, მეორე სართულიდან გადმოვხტი... საერთოდ, თავისუფალი კაცი ვარ... — როდის გაცნობიერე, რომ თავისუფალი ხარ? — არც მახსოვს... ჩემი ყველა საქციელი რაღაც სიგიჟესთანაა კავშირში, მაგრამ ამავე დროს, კანონმორჩილიც ვარ. ვანო, იცი, რისი თქმა მინდა? — დემოკრატია და თავისუფლება ურნიდან იწყება. ამას დღეს ამბობენ, მე კი 15 წლის წინ, ჩემს ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში ვთქვი... — კომუნისტებს თავისუფალი ადამიანები არ უყვარდათ... როგორ გიტანდნენ? — ქალაქის კულტურის განყოფილებაში ვმუშაობდი, მაგრამ ვერ შევეგუე და წამოვედი... სხვათა შორის, კომკავშირში რომ ვიყავი, ტრაქტორი ჯარში ჩავაბარე და ამის გამო გამომიშვეს. — ტრაქტორთან რა ხელი გქონდა? — იცი, კომკავშირში როგორ მოვხვდი? მეტეხის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილედ ვმუშაობდი. თეატრი ცეკა-მ ნაილო და ასე აღმოვჩნდი მთაწმინდის რაიონის კომკავშირის კულტურის სამსახურში, თუმცა ნიშანი არ მქე-თებია, ცხონებული შარტავა დამდევდა ხოლმე. ბოლოს, თქვა, ჩარკვიანს ეპატივობა... დისიდენტი არ ვიყავი, უბრალოდ, არ „მევასებოდა“, გულმკერდზე რაღაც მკიდებოდა... შინ მაკარტინისა და ლენინის საფრთხეები მაქვს გაკრული, მაგრამ გულზე ვერაფერს სურათს დავიკვიდე... — ჯართის დიდი გეგმა გქონდა, არ მოგვიხსნეს. ერთხელაც, ორ თანამშრომელს ვუთხარი, ჯართი უეჭველად უნდა ჩააბაროთ-მეთქი. ისინიც ადგნენ, მშენებლობიდან გაფუჭებული ტრაქტორი წაიღეს და ჩააბარეს... მერე, ცოტა ხანი ლიტერატურის მუზეუმში ვიმუშავე. ლიტერატურა დედაჩემმა ბავშვობიდან შემეყვარა... მერე, ქალაქის კულტურის განყოფილებაში ვიყავი. ბოლოს ვთქვი, მივდივარ-მეთქი. სადო. სად დიდი ხანი ვინყებ-მეთქი. სცენაზე პირველად რომ ავედექი, უკვე 40 წლის ვიყავი...

— მამუკა, სცენაზე უფრო ადრე რატომ არ ახვედი? — ჯერ რაღაც ბიჭური ვარიანტი იყო... — ანუ სცენაზე გამოსვლა „გიტყუებოდა“? — ჰო... მერე, „პერესტროიკა“ მოხდა, მონასტერი აირია. ბიჭებმა დაიჩემეს, პირველ რიგში მერაბ სეფაშვილმა, უნდა იმღერო, სახლშიც მითხრეს... მეც მინდოდა, ერთი კონცერტი ჩამეტარებინა და ჩემი სიმღერები საჯაროდ გამომეტანა. ხელი გია მაჭარაშვილმაც შემინყო, თუ რამე გაქვს, მომიტანე და გაგიორკესტყებო. სხვათა შორის, გაიღებოდა უანგაროდ შემსახურება, ასევე ირაკლი ქაცარავაც... — პირველად „თეთრი ხომალდი“ დაწერე? — არა, „ჩამოთოვა ისევ“... — მაშინ რამდენი წლის იყავი? — 17-ის... — სიმღერა ემოციამ დაგანერინა? — შეყვარებული ვიყავი... ბაბუაჩემთან ერთად, ბაკურიანში ვისვენებდი...

ანა ზდეულად, მამუკა ჩარკვიანი საუბრის თემას ცვლის და ფოტოხელოვან ზურა მეგრელიშვილს მიმართავს: — ახლა დაგაკვირდით... უან რენოს ძალიან ჰგავხართ, მისი ბიძაშვილი ხართ? — უარის ნიშნად, ზურა თავს აქნევს. — უან რენო ისე დაბერდა, ვერაფერს მიხვდა... ისე, მალე სამოციან ვხდები და ჩემი იუბილე „ვგლიჯოთ“, — ამბობს მამუკა. — უნდა „ვგლიჯოთ“, აბა, რა?! სიმღერას ტკივილი გაწერიან? — პირველი სიმღერა სიყვარულმა დამანერინა, მერე კი ტკივილი მანერინებს. მაგალითად, „მაგრად დაჰკარით“. „მალლა და მალლა“ კი ჩემი ხალხისთვის შეძახილია. საერთოდ, ბევრი შეძახილი მაქვს დაწერილი, აი, თუნდაც „გავაზაფხულებთ“, მაგრამ არაფერი გამოდის...



მამუკა ჩარკვიანი: „ლომი ვარ, აბა, რა ვარ!“

რას ფიქრობს დემოკრატიაზე და ვის ეძახის იდიოტებს — საუკუნის მომღერლის დიდი დაბრუნება

— ვერ გავაზაფხულებთ? — აბა, გავაზაფხულეთ? — არ ოცნებობ? — ვოცნებობ... — პოლიტიკურადაც? — პოლიტიკური პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ! — ისე, შენი და ჯანსულის „თავისუფლება ლომთა ხვედრისა“ ყველა პოლიტიკური პარტია „იყენებს“... — ჰო, იქითაც უკრავენ და აქეთაც, თუმცა მე ჩემი პოლიტიკური პოზიცია მაქვს. — შენი პოლიტიკური პოზიცია მაინც როგორია? — დღეს ცოტა არეულია. — რატომ? — ოლონდ ის არ ყოფილიყო და „ოცნებას“, უფრო სწორად, ბიძინას მივემხარი. ბიძინას იმედი კიდევ მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რა უნდა გავკეთო: ძალიან ბევრმა უღალატა. ასე ვუყურებ: ჯანდაცვისა და რამდენიმე გარდა, ისეთი მინისტრი ვერ დანიშნეს, ვინც რაღაც არ ჩაიდინა. აბა, წამდაუნუნ რატომ ხსნიან? — ალბათ, რაღაც ხდება... — მამუკა, ზუსტად ვიცი, რომ ჩრდილოეთი შენთვის მიუღებელია, ამიტომ სხვანაირად გკითხავ: გრძნობ, რომ ნატოს ემორდები? — კი, ვგრძნობ... ყოველ შემთხვევაში, იქით არ ვართ. ნეიტრალური უნდა ვიყოთ, მაგრამ შევიცარია ვერ გავხდებით... იმის დაშვებაც კი მზარავს, ისევე რუსეთთან წავიდეთ. რუსმა ჩვენი ფასი ვერ გაიგო. ბოლოს და ბოლოს, ამხელა ომი მოხდა და შერიგება ცოტა შეუძლებელია. არ ვიცი, ვინ დაიწყო, ვინ პირველმა გაისროლა. ისიც უნდა იცოდეს, პროვოკაციას რა შეიძლება მოყვას. მიუხედავად იმისა, რომ კარგ რუსულ რომანსებს ვმღერი და დოსტოვესკიც რუსულად მაქვს ნაკითხული, რუსეთისკენ ვერ გავიხედავ! — სხვათა შორის, გუმბინინ, მარკესის ნიგნი მაჩუქეს, „იცხოვრო, რომ მოყვე!“ — რაკილა ცხოვრობ, მომიყვი... — ზუსტად ჩემზეა... იმიტომ უნდა იცხოვრო, რომ ის მოყვე, რაც გახსოვს... — შენი ცხოვრებიდან რა გახსოვს? — ვანო, თუ წერას დავიწყებ, ყველაფერი — კარგიც და ცუდიც, ამოტივტივდება... მახსოვს, მამაჩემი 100-100 გრამ ძებხსა და ყველა როგორ ყიდულობდა. სულ მიკვირდა და ვეკითხებოდი, მამა, ვვალ ხომ კიდევ უნდა იყიდო და დღეს სამასი იყიდე-მეთქი. თურმე, ამდენი ფული არ ჰქონდა... „დილაში“ ხელფასი 120 მანეთი ჰქონდა. ჯანსული პატიოსანი კაცია და ოჯახის შესანახად 120 მანეთი არ ჰყოფნიდა... ისიც მახსოვს, დედაჩემი ბულიონს აკეთებდა და შიგ ქათმის თავ-ფეხი „ეგდო“ ხოლმე. თურმე, ვილაცას უსწავლებია, ქათმის თავ-ფეხი იყიდე, ბავშვებს ბულიონს გაუკეთე და დანაყრდებიანო... მაშინ ამდენს ვერ ვხვდებოდი... — ოჯახს შენ როგორ ინახავ? — ამას ნინათ, ორსაათიანი კონცერტი ჩავატარე... მასურებელმა სცენიდან ჩამომიყვანა, მამუკა, ნუ გრცხვენია, რომ ნაოპერაციები ხარო და მაცეკვა. მშვენივრად მოვილხინე. ჰონორარი ავიღე და ნახევარი თვე მეყო... — მამუკა ჩარკვიანობა ძნელია? — საკმაოდ. — რატომ? — მამაჩემის სიტყვები მახსენდება, არ დაიჯერო, როცა გეტყვიან, რომ ძალიან მაგარი ხარო. რატომ-მეთქი. როგორც კი მაგას დაიჯერებ, ხელს გაგიშვებენ და დაეცემი. ჰოდა, არ მჯერა, რომ მაგარი ვარ ზარ ზარ ბევრ ჰონორარსაც არ ვითხოვ. მსმენელს არ ვუთვლი, 12 სიმღერას ვიმღერებ თუ 15-ს. — ჰო, ეგ ვიცი: მახსოვს, ქუთაისში, ორის ნაცვლად, კონცერტი ოთხი საათი რომ გაგრძელდა... როცა მღერი, პრობლემები გავიწყდება? — აბსოლუტურად სხვაგან ვარ!.. — მამუკა, მოდი, ცოტ-ცოტა დედაზე, ირმა დედაზეც მითხარი, ჯანსულზეც, თაკოზეც... თქვენი ოჯახი ხომ უნიკალურია! — ვანო, იცი, ჩვენი ოჯახი ცოტა „გიჟების“ ოჯახია! — თავისუფლება ხომ სიგიჟია! — აბა, რა?! ჩემი დაც ხომ „გიჟია“... ცოტა აწყვეტილი ბიჭი

ვიყავი... ისე, ჩემი ბიჭი კარგი ზნისაა — კაცური კაცი იზრდება... როცა სიმღერა დავიწყე, ხალხმა რომ აიტაცა, ვატყობდი, ჯანსულს სიამოვნებდა, მაგრამ ჯანსულისგან მამაშვილური კოცნა ერთხელ მახსოვს: მამაჩემი მთვრალი მოვიდა. მეძინა, დედაჩემმა უთხრა, სძინავს, არ გააღვიძოო. ოთახში მაინც შემოვიდა. არ მეძინა, მაგრამ თავი მოვიძძინარე. ჯანსული სა-ნოლზე ჩამოჯდა. მერე დაიხარა და მკერდზე მაკოცა. ჯანსული ის კაცი არაა, გითხრას, რა მაგარი ხარო... უბრალოდ გეტყვის, კარგიაო და გაივლის. საერთოდ, შენი თამამად არ უნდა გა-ზარდო. მინახავს ოჯახები, სადაც ბავშვს ეუბნებიან, გენიოსი ხარო. არადა, მეც და თაკომაც, ცოტა გიჟები კი ვართ, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ კარგი შვილები ვართ. ისე, დედაჩემიც ცოტა გიჟია — აბა, ჯანსულს რომ გაყვები, შეიძლება, გიჟი არ იყო?! აგერ, დიდი გენიოსიც მოდის — ირმა გიგანი... — „ქართველ ვისოცის“ გეძახიან... — ჰო... — ეს ერთ-ერთი დიდი აღიარებაა, არა? — ერთ-ერთი ტელევიზიით ასე მაცხადებდნენ: ცოცხალი ლეგენდა მამუკა ჩარკვიანი და ეს ყველაზე დიდი აღიარებაა, თუმცა მერე ეტყობა, ვილაცამ უთხრა, ასე აღარ თქვათო და ასე აღარ მაცხადებენ. ვანო, შენც ხომ იცი, ჩვენთან მკვდრები უყვართ და რომ მოვკვდები, მერე იტყვიან, ლეგენდა იყოო. — სიკვდილზე ვფიქრობ? — სულ ვფიქრობ... იმის, რაც ბუნებრივია, არ უნდა შეგე-შინდეს! — ...ცხოვრება ომია? — კი, ცხოვრება ომია! თუ გინდა, რომ იმ პლანეტაზე, სადაც იცხოვრე, ჯვარი დასვა, მეც აქ ვიყავი, მაშინ დიდი ბრძოლის გადატანა მოგიწევს! თუ გინდა, რომ ლიდერი იყო ან სამეულში მაინც მოხვდე, მაშინ ცხოვრება, ყველა ვარიანტში, ომია! — ცხოვრებას ომს უგებ? — ცხოვრებას ომს ვერასოდეს მოუგებ! რაღაცებში შენს თავსა და სხვებს, ვინც გეჯობობიან და ატყობ, რომ მათზე უკეთესი ხარ, უნდა მოუყო! — ...რა ნანობ? — საქართველოდან არასოდეს გავსულვარ! ვნანობ, რომ დანიისნარი, უფრო დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში ვერ ვიცხოვრე, თორემ ასე რომ ყოფილიყო, ჰონორარს სამ თვეში ერთხელ არ დაველოდებოდი და, ვთქვათ, „ფერარი“ მეყოფოდა... — არ ვიცი, ეს უნდა გკითხოთ თუ არა, მაგრამ არ ნანობ, რომ სკამი? — დიდი ხანია, აღარ ვსვამ! სხვათა შორის, მაშინ, როცა ვსვამდი, 6-ზე მეტი სიმღერა დავწერე... ინტენსიურად, 30-დან 45 წლამდე ვსვამდი... ისე, ვნანობ... იცინა ხოლმე, ჩემს ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი. ეს მეც მითქვამს, მაგრამ რაღაცებს ნამდვილად შევცვლიდი. რომ მკითხო, რასო, ვერ გეტყვი, თუმცა ისეთი მამუკა დავრჩებოდი, როგორც ჩემს მეგობრებ-სა და ახლობლებს ვუყვარვარ... ჩემი სახლის კარი სულ ღიაა, უცხო ხალხი მოდის... ყველას პატარა კონცერტს ვუტარებ და კმაყოფილი მიდის... — ვანო, იცი, ჩემი დილა როგორ იწყება? — როგორ? — 6-7 საათზე ვიღვიძებ, ინსტრუმენტთან მივდივარ და ვმღერი. ჩემი ცოლი, ირმა მეუბნება ხოლმე, მეზობლები... ამი-ტომ, გიტარაზე გადავდივარ... მუსიკის გარეშე ცხოვრება ერთი ნუთიც არ შემიძლია — ხანდახან მგონია, რომ დღის განმავლობაში ირმაზე, ჩემს დისშვილზე, მეტს ვუკრავ, ოლონდ, მისგან განსხვავებით, ნოტები არ ვიცი და ყველაფერს სმენით ვანწყობ. — სიმღერების უმეტესობა მამაშენის ლექსებზე გაქვს დაწერილი. ჯანსულის შვილი რომ არ ყოფილიყავი, მამუკა ჩარკვიანი, როგორც მომღერალი, შედგებოდა? — ამ კითხვაზე ასე გიპასუხებ: ბურთი ძელს რომ არ მოხ-ვედროდა, გოლი „გავიდოდა“... — ერთხელ, თქვი, ჯანსულის ლექსები თვითონ მღერია... — მთელი ბავშვობა მინდოდა, მამაჩემისნაირი ვყოფილიყავი. მამაჩემისნაირი ვერ გავხდები, ჩემნაირი ვარ, მაგრამ ვარ-სკვლაში ორნი ვართ — მე და მამა. ეს ისტორიას დარჩება. მამა უზომოდ მიყვარს...

86 წლის იზოლდასა და 89 წლის ბრისტანის ფრონტული თავბადასავალი

„ქაღი ომშიც ძლიერია!“ — როგორ აფასებენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობას

ენი ჯაფარიძე
571-17-00-02

9 მაისს, საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი აღნიშნეს, თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან სამხედრო აღლუმი არ გამართულა... ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით პირველმა საქართველოს პრეზიდენტმა შეამკო, შემდეგ კი — კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა და მთავრობის სხვა წევრებმაც.

„70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიამ საბჭოთა კავშირს უსიტყვო კავშირული გამოუცხადა“, — გადმოსცემენ რადიოში... წვიმს, გადაუღებლად წვიმს. „9 მაისი გამარჯვების დღეა, ეს სამოქალაქო დღესასწაულია, დღე, როდესაც ფაშისტური გერმანია დამარცხდა“, — განაცხადებს რადიო მაუწყებლობას...

ხის სველ სკამზე სამხედროფრომიანი ორი მოხუცი ზის — ქალი და კაცი... რადიო სწორედ მათ აქვთ ჩართული... კაცი უფრო ხნიერია...

— მომეცი, შვილო, ხელი, — მეუბნება ვეტერანი ქალბატონი.

— მკითხავი ხართ? — გავოცდი.

— ბევრს ლაპარაკობ, შვილო... მომეცი ხელი... იცოდე, დღეს დიდი დღეა, კარგ განწყობაზე ვართ... ხომ იცი, დღეს რა დღეა?

— დღეს „გიტლერზე“ გამარჯვების 70 წლისთავს აღვნიშნავთ. მომეცი ხელი, მომეცი... —

— ხელი რად გინდათ? მკითხაობის არ მჯერა...

— 25 წლის ხარ, შვილო... შეიძლება, ერთი ან ორი წლით მეტი... იცი? ჩემი ქმარი ომში რომ არ გამეცნო, ალბათ, გაუთხოვარი დავრჩებოდი. ერთად ვმუშაობდით რუსეთის საავიაციო ქარხანაში — თვითმფრინავებს ვანწყობდით; მერე ერთად ვიბრძოდით. ორჯერ დამჭრეს, ქმარი — არც ერთხელ. სერუანტობით რომ დაინჯო, პოლკოვნიკობამდე ავიდა. გმირია! ისე, ჩვენი შვილიც ვეტერანია — აფხაზეთში იბრძოდა. ორი ვაჟი გვყავს და ორი შვილიშვილი. ერთს ცოლი ჰყავს, ერთს — არა. ჰოდა, შვილო, ისეთი ასაკი გაქვს, ბევრს ნუ დაინუნებ, თორემ გაუთხოვარი დარჩები.

— ქოლგა არ გაქვთ?.. სველდებით, — საუბრის თემას ცვლი...

— წელიწადში ერთი დღე გვაქვს, როცა პრეზიდენტსა და პრემიერს უნდა შეხვდეთ და წვიმა შეგვაშინებს?

— პრეზიდენტსა და პრემიერს როგორ შეხვდებით? — ისინი ვაკის პარკში მივიდნენ...

— მაინც შეხვდებით. კიკვიძის პარკში მივდივართ. იცი, შვილო, კიკვიძის პარკი რას ნიშნავს? — ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკს. ჰოდა, უნდა დავისვენოთ. წელიწადში ერთი დღე დასვენება არ გვაქვს? სამსახური ჩვენ არ გვაქვს, შემოსავალი ჩვენ არ გვაქვს, სამედიცინო დაზღვევა კი გვაქვს და მაღლობა ამისთვის ჩვენს მინისტრს, მაგრამ ცხოვრება მაინც რთულია.

— მეორე მსოფლიო ომის ზოგი ვეტერანი ახალგაზრდა ვეტერანებზე ამბობს, სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას აქცევსო. თქვენც ასე ფიქრობთ?

— შვილო, თუ სიმართლე გაინტერესებს, ფინანსური კუთხით, მე და იზოლდა ყველაზე მშვიდად ვართ, ვაჭიშვილები კარგ სამსახურში მუშაობენ, — საუბარში ქალბატონის მეუღლე ერთვება, — მაგრამ, რომ იცოდეთ, დღეს ვეტერანებს ყურადღებას არაფერ აქცევს. ერთადერთი, რითაც სხვა მოხუცებისგან განსხვავდებით, ისაა, რომ ჩვენი დაზღვევა, ალბათ, უმჯობესია. ჩემმა მეგობარმა, ამას წინათ, კატარაქტის ოპერაცია გაიკეთა და გარკვეული თანხა დაუჯდა. მეც გავიკეთე, მაგრამ ერთი თეთრიც არ გადამიხდია. ამ კუთხით ვერ დავინუნებ. ისეც არ ვუნუნებ, მაგრამ კარგი იქნება, თუ მეტ ყურადღებას მოგვაქცევენ. არც ჭკუა გვიშლის, არც გონება, მაგრამ კაცი რომ ასაკში შევა, ხომ იცი, ბავშვივით ხდება? იზოლდას რომ ვუყურებ, ხანდახან ბავშვი მგონია, — მოხუცი ცოლს ეფერება, — ყურადღება, აბა, ვის აწყენს! წელიწადში ორჯერ ვახსენდებით ჩვენს მთავრობას. ერთხელ, აღდგომას და მეორედ — 9 მაისს. აღდგომაზე პასკით მოდიან, 9 მაისს ჩვენ მივდივართ ხოლმე ხან კიკვიძის პარკში, ხან ვაკის პარკში...

— სამხედრო აღლუმი არ ჩატარდა, — ვამბობ სასხვათაშორისოდ.

— რომ ჩატარებულყო, კარგი იქნებოდა. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რა ჯარი გვყავს. უნდა იცოდეს, რომ, თუ შემოგვტყის, ჩვენს შეუტყვევებ... იცით, მოსკოვში რა ხდება? იცით, რა თქვა პუტინის პრეზიდენტმა? — 9 მაისი მოსკოვისთვის ტანკების მოდინად იქცევა, ეს სამხედრო ღონისძიება კი არა, ძალის დემონსტრირება იქნებაო. ჰოდა, აქ აღლუმიც იმიტომ არ ტარდება, რომ ვინმემ არ იფიქროს, საქართველო რუსს მხარს უბამსო, — ვეტერანმა საუბარი შეწყვიტა და მზერა უსასრულოდ გაუშტერა.

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობას როგორ უყურებთ? — არ მოვეუწვი.

— შვილო, როგორ უნდა ვუყურებდე? — საქართველოს ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს,



რუსეთთან, მით უმეტეს. შეხედეთ ჩემს მედლებს. საბჭოთა კავშირისთვის რომ ვიბრძოდი, რა, ცუდი გავაკეთე?.. ისეთი განლაგება გვაქვს, საუკუნეების წინაც აქ ვიყავით და საუკუნეების მერეც აქ ვიქნებით. რუსზე ცუდის თქმა არ გვარგებს — ძლიერია, ჭკვიანი. აუცი კი არა, სულ კარგი უნდა ვიძახოთ, რომ გული მოვუღებოთ, თორემ აფხაზეთს ვინ დაგვიბრუნებს, ამერიკა?.. თქვენმა თაობამ უნდა ივაჟუცოს...

იმის თაობაზე, რომ რუსეთი კარგია, მოხუცთან კამათს არ ვაპირებ. უბრალოდ, ვუღიმი და ჯიქურ ვეკითხები:

— ჩვენი თავდაცვის მინისტრი ქალია. მოგონთ?

— სად იყო თინა ხიდაშელი, როცა 1975 წელს, ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ინდირა განდი იყო, ჩინებული მმართველი გახლდათ, კბილებით იცავდა თავის ქვეყანას. თინამაც ასე უნდა ქნას... თუ იზამს, მაშინ ყველას ეყვარება და თავდაცვის კარგი მინისტრიც იქნება. თუ არადა... თავდაცვის მინისტრი ბევრი გვყოლია და კიდევ ბევრი გვეყოლება... ჩემი მეუღლე 16 წლიდან ფრონტის ხაზზე იბრძოდა. ქალი ომშიც ძლიერია და ავიაციამაც. ქალი თუ ჭკვიანია, ყველგან ივარგებს.

ახლავა გამახსენდა, რომ თანამოსაუბრის სახელი არ ვიცოდი. ამაყად მითხრა, ტრისტანი მქვია, 89 წლის ვარ, ჩემი იზოლდა კი 86 წლისაა...

ასეა თუ ისე, 9 მაისი ჩვენი ისტორიაა...

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

მამუკა ჩარკვიანი: „ლომი ვარ, აბა, რა ვარ!“

მე-4 გვერდიდან

— ვიცი, შენ და თაკოც სულ მამას იფიცებთ... არ შეგეკითხები, რადგან ისედაც ხვდები, შენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ვინც იქნება...

— რა თქმა უნდა, მამა...

— ჯანსული გაგიბრაზებია?

— ძალიან ბევრჯერ...

— ნანობ?

— შენ წარმოიდგინე, არა. ამ გაბრაზებისთვის იმდენი ხარკი გადავიხადე, იმდენი სიმღერა „გაგაკეთე“, რომ აქედან ხუთი მაინც დარჩება. ხუთი სიმღერა საკმაოდ ბევრია.

— მამუკა, იცი, რა გამახსენდა, ჯანსული ოპერაციას რომ იკეთებდა, ნახვედი და „გარსია ლორკა“ დანერგე...

— კი...

ისე, დედაჩემის ლექსებზე სამი თუ ოთხი სიმღერა მაქვს, თუმცა ერთი ისეთია, ყველას უდრის — „სუყველაზე ლამაზი შენი თვალის ფერია“ (ლილინებს)... მე თუ მკითხავ, ეს უკვდავი სიმღერაა...

— მამუკა, ჩემი აღარა ხარ, მორჩა“...

— (იცინის) ეს მე კი არა, ჯანსულმა დანერგა... (პაუზა)... ახალგაზრდობაში, როცა ამ სიმღერას ვმღეროდი, „მორჩაზე“ ხელს ზურგს უკან ვიქნევდი მაგრამ ახლა ამას ვეღარ ვაკეთებ... ახლა სხვანაირად გამომდის...

— ესე იგი, ემოცია აღარ გაქვს?

— არა, ემოცია მაქვს და ყველა სიმღერას ემოციით ვმღერო. მირჩევნია, ხმა არ მქონდეს და მაინც ცოცხლად ვიმღერო. მერაბ სეფაშვილმა ჩემზე გენიალური რამ თქვა, მამუკა სულ ცოცხლად იმიტომ მღერის, რომ ფონოგრამას პირს ვერ აყოლებსო. მერაბს ასეთი კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა გადავუხადე. ზოგიერთები რადიოს რომ ჩართავენ და მღერიან, უხერხულია... ახლა საქართველოში, საესტრადო მუსიკის თვალსაზრისით, ცუდი მდგომარეობაა. ჯერ ერთი, ყველაფერში ფანდურის ხმარება არ შეიძლება.

— „გამოვანდურდი“?

— კი. ფანდური მაშინაა კარგი, როცა მაგალითად, ხალხურ სიმღერას მღერი. მეორეც, ვანო, თუ ატყობ, ახალი სიმღერები

აღარ იწერება... ქალისთვის სიმღერას ვერ ვწერ. საერთოდ, სიმღერებს ჩემთვის ვწერ. ერთმა ჩემმა ძმაცაცმა თქვა, მამუკას თავი გაანებეთ, ეს კაცი სიმღერებს თავისთვის წერს და თვისთვის მღერისო... ყველას ვაძლევ უფლებას, ჩემი სიმღერა შეასრულოს, მაგრამ თითოეული სიმღერა ჩემი ცხოვრებაა და როგორ შეიძლება, შენი ცხოვრება სხვამ უკეთ იცოდეს?! ვანო, იცი, ხელს კიდევ რა მიწყობს? — ჯანსულის ოჯახში გაზრდილი, ფილოლოგი ვარ, პოეზია მიყვარს და ერთი სიტყვა შემიძლია, ოთხნაირად ვთქვა. სიმღერა სპექტაკლია, შენ კი მსახიობი ხარ, გამოდიხარ და ოთხ წუთში ყველაფერი — პროლოგი, ეპილოგი, უნდა მოასწრო, თუმცა მიზანსცენით უნდა დაინჯო, მერე კულმინაცია და დასასრული. ეს რთულია და ვინც ვერ აკეთებს, ვურჩევ, არ იმღეროს...

გამიღვიძია და რაღაც ცუდზე დავფიქრებულვარ. ხომ იცი, მხარზე რომ ჩამოგაჯდება და „გაიუტუნებს“, მაგრამ მითქვამს, აქედან ნადი-მეთქი და მაშინვე ინსტრუმენტთან მივდივარ. ააშენოს ზურა ლოლაძე, ვინც ეს ინსტრუმენტი მიყიდა...

— მამუკა, ხალხს, მთავრობას რას ეტყვი?

— ჯანსულმა თქვა, ვისი ვიოლინო ვის როიალშიაო, მე კი ასე ვიტყვი: თავის დროზე შევდეთ ძალიან გაუჭირდა და ხელმძღვანელმა ხალხს მიმართა, ძალიან გთხოვთ, რამდენიმე ხნის განმავლობაში უცხოური არაფერი შეიძინოთ. დღეს შევდეთი პირველი თუ არა, მეორე სახელმწიფოა.

— ჩვენთან არაფერი ინარჩუნება და ეროვნული პროდუქცია როგორ ვიყიდით?

— ეს სხვა საკითხია... ხელფასი 5 ათასი რომ გაქვს, ნულარ ითხოვო, პრემია მიიღო და ცოტაც დამიმატო. შე იდიოტო, ნუ იხვენიბი, შე იდიოტო! მე რომ მოვკვდები, სახელს მაინც დავეტოვებ. მე და მას ერთნაირად დაგვასაფლავებენ, ერთნაირ მიწაში ჩაგვდებენ. ამ ქვეყნიდან რას ნაიღებს? მან ჩემზე კარგად არ იცხოვრა. მე მუსიკალური, ლიტერატურული სამყარო მქონდა, რომლის გმირიც ვხდებოდი.

— ბოლოს და ბოლოს, შენს სახლში გენიოსები იკრიბებოდნენ!

— დიას... გენიოსი დისპილი მყავს და, როგორ გგონია, ჩემი ცხოვრება ჯობია თუ იმისი, 50-მეტრიანი აუზი რომ უდგას?

რა უნდა ვიცოდეთ სივრული მაუწყებლობის შესახებ



სივრული მაუწყებლობის ს ა ა მ ე მ ა

2015 წლიდან, თანამედროვე მსოფლიოს მსგავსად, საქართველო ანალოგურიდან ციფრულ მინისზედა მაუწყებლობაზე გადადის. რეფორმას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყება „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ ახორციელებს.

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში:

ამჟამად ცხელი ხაზი (ტელ 1480) და ოპერატორები 24-საათიან რეჟიმში პასუხობენ შემოსულ შეკითხვებს;

ფუნქციონირებს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ვებ და სოციალური გვერდები, სადაც ასევე ყოველდღიურ რეჟიმში ხდება კითხვებზე პასუხების გაცემა;

დაიბეჭდა 4 მლნ საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც მოსახლეობას ხელმეორედ მაისში მიეწოდება;

ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით, მომზადდა საცნობარო მასალა, რომელიც მოსახლეობას გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების სამხარეო ადმინისტრაციების მუნიციპალიტეტების რწმუნებულების-გუბერნატორების აპარატისა და სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრთა დახმარებით;

მომზადდა სტატიების სერია, რომელთა განთავსება ეტაპობრივად მიმდინარეობს გაზეთებში;

2015 წლის იანვრიდან ტელევიზიებში (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, აჭარის ტელევიზია, „იმედი“, „რუსთავი 2“, „მეგობრო“, „ერთსულოვნება“, „ტაბულა“, „პალიტრ TV“, „TV-3“, GDS) გადის სააგენტოს მიერ მომზადებული ვიდეომასალები (საინფორმაციო კლიპები);

ვიდეომასალები განთავსებულია 24 ადგილობრივ ტელევიზიაში;

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო აქტიურად მონაწილეობს მაუწყებლების მიერ მომზადებულ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში;

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, სააგენტო პერიოდულად აწყობს შეხვედრებს და მონაწილეობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ თემატურ ღონისძიებებში.

დღეს მოსახლეობა, მეტ-ნაკლებად, ინფორმირებულია რეფორმის შესახებ. სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია კიდევ ერთხელ და ამჯერად, პრესის საშუალებით საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მათი მხრიდან ცხელ ხაზსა და სააგენტოს სოციალურ გვერდზე შემოსული ხშირად დასმული კითხვების მიხედვით.

ხშირად დასმული კითხვები:

რატომ გადავივართ ციფრულ მაუწყებლობაზე?

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოს აჩვენა, რომ არსებობდა სიხშირული რესურსის გამოყენების უფრო ეფექტიანი შესაძლებლობები, სწორედ ამიტომ, დღეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, ანალოგურის ნაცვლად, ციფრული მაუწყებლობით სარგებლობს. უენეის 2006 წლის ხელშეკრულების (GE-06) ფარგლებში ციფრულ მინისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის — საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებაა. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მინისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

რა სარგებელი აქვს ციფრულ მინისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლას?

ციფრული ტელევიზია იძლევა უფრო მეტი პროგრამის გადაცემის საშუალებას: დაახლოებით თხუთმეტი სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა სიხშირეთა იმ არხში, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ერთი ანალოგური პროგრამისთვის. მომხმარებელთათვის მინისზედა ტელე-მაუწყებლობის გაციფრულება უზრუნველყოფს ხმისა და გამოსახულების გაუმჯობესებულ ხარისხს, უფრო მეტი სატელევიზიო პროგრამის ხელმისაწვდომობას, მომსახურებას, პორტაბელური პროგრამების მიღების საშუალებას. მაუწყებლებისთვის ციფრულ პლატფორმაზე გადასვლა უზრუნველყოფს უფრო მეტ შესაძლებლობას პროგრამის შექმნისთვის სხვადასხვა აუდიოტორიის საჭიროებათა და კმაყოფილების მიზნით. აგრეთვე, გრძელვადიან პერსპექტივაში, იგი ამცირებს სამაუწყებლო ხარჯს და უზრუნველყოფს მოქნილობას ეროვნულ თუ ადგილობრივ მაუწყებლობის დონეებზე. სახელმწიფოსთვის სარგებელი ჩნდება ციფრულ პლატფორმაზე გამოყენებულ რადიოსიხშირეთა რიცხვის შემცირებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის გამო. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამაუწყებლო სიხშირეთა ნაწილი გამოიყენებული იქნება (800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან, ხოლო 700 მჰც

დიაპაზონი 2015 წლის შემდგომ) უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დასაწერად, რაც ხელს შეუწყობს მთელი საქართველოს მასშტაბით ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას.

როგორია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადები და ეტაპები?

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) 1-ლი რეგიონისთვის (სადაც, საქართველოსთან ერთად, შედის ევროპა, აფრიკა და აზიის დიდი ნაწილი) — 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მინისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ვადად; მოცემული გულისხმობს, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ ქვეყნებში მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, აღარ იქნება დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან წარმოქმნილი ხელშეშლისგან. 17 მარტიდან 17 ივნისამდე, პარალელური მაუწყებლობის რეჟიმში, სატელევიზიო გადაცემები ანალოგური და ციფრული სიგნალების მეშვეობით გავრცელდება. აღნიშნულ პერიოდში უკვე შეგიძლიათ ისარგებლოთ სეთ-თოფ ბოქსებით.

ვის ეხება აღნიშნული პროცესი?

რეფორმა თანაბრად ეხება ყველა ოჯახს, გამონაკლისი მხოლოდ საკაბელო, თანამგზავრული და ინტერნეტტელევიზიების მომხმარებლებია.

რომელი პროგრამების ყურებას შევძლებთ ციფრული მინისზედა ტელემაუწყებლობის ფორმატში?

დღეს უკვე შეგიძლიათ იხილოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, „აჭარა ტელევიზია“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“ და GDS.

მოგიწევს თუ არა ტელევიზორის გამოცვლა?

ყველა ტელევიზორი გამოსადგება, ტელევიზორების გამოცვლა არ მოუწევთ იმ მომხმარებლებს, რომელთა ტელევიზორებს უერთდება აუდიო-ვიდეო (ე.წ. RCA, ტულპანი, ფერადი სადენი) ან SCART სადენი.

რომელ პარამეტრებზე უნდა გადაწყვიტოთ მყარდება თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორები?

ყველა თანამედროვე DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორის მფლობელმა, ციფრული საეთერო სამაუწყებლო სიგნალის მისაღებად, ტელევიზორის მენიუში შეარჩიოს ავტომატური ძებნის (Auto Search) რეჟიმი. ტელევიზორი იპოვის ეთერში არსებულ ყველა ციფრულ არხს და მოათავსებს მათ არხების სიაში. იგივე შედეგს მივიღებთ, თუ გვვააქტიურებთ ხელით ძებნის რეჟიმს (Manual Search), რასაც უნდა უსწრებდეს შემდეგი პარამეტრების შერჩევა: მენიუს შესაბამის პუნქტში უნდა შევარჩიოთ DTV რეჟიმი, გატარების ზოლი 8 მჰც (OIRT System D), არხის ნომერი ან სიხშირე, მაგალითად, თბილისისთვის 23 არხი, 490 მჰც ამის შემდეგ საჭიროა ხელით ძებნის რეჟიმის გააქტიურება, რის შედეგადაც ტელევიზორი იპოვის ამ ერთი კონკრეტული არხის შესაბამისი მულტიპლექსის ყველა პროგრამას და მოათავსებს არხების სიაში. შემდგომში, საჭიროა ამ მანიპულაციის გაყოფა ყველა დანარჩენი მულტიპლექს პლატფორმისთვის.

გამომადგება თუ არა DVB-T სტანდარტის ტელევიზორი?

გამოადგებათ, DVB-T სტანდარტის მქონე ტელევიზორს ციფრული ღია საეთერო სიგნალის მისაღებად დასჭირდება სეთ-თოფ ბოქსი.

რა არის „სეთ-თოფ ბოქსი“ და სად შეიძლება მისი შექმნა?

„სეთ-თოფ ბოქსი“ — ციფრული სიგნალის მისაღებად საჭირო სპეციალური აღჭურვილობაა, რომელიც თქვენს ტელევიზორს ანტენიდან შემოსულ სტანდარტულ ან მაღალი გარჩევადობის სიგნალს მიაწვდის. სეთ-თოფ ბოქსის შექმნა შესაძლებელია სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში.



რომელი ანტენით უნდა მივიღოთ ციფრული სიგნალი?

ციფრული სატელევიზიო სიგნალი შეიძლება იმავე მეტრულ და დეციმეტრული ანტენით მივიღოთ, რომლითაც ვსარგებლობდით ანალოგური სიგნალის მიღებისას. ეს შეიძლება იყოს შენობის სახურავზე დამონტაჟებული სატელევიზიო გადამცემისკენ მიმართული ანტენა დიაპაზონით 174-230 მჰც სიხშირეები მეტრულ (VHF) სიხშირულ ზოლში და 470-694 მჰც სიხშირეები დეციმეტრულ (UHF) სიხშირულ ზოლში. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენებაც.



რა ტიპის სადენი დაგჭირდება ციფრული ტელევიზიისთვის და გამოვადგება თუ არა ძველი კოაქსიალური (სპილენძის) სატელევიზიო სადენი?

ციფრული სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ: სტანდარტული 75 ომი ტალღური წინაღობის მქონე კოაქსიალური, ე.წ. სატელევიზიო კაბელი და აუდიო-ვიდეო, ე.წ. RCA შემაერ-

თებული სადენები. ანტენიდან შემომავალი კოაქსიალური სადენი უერთდება სეთ-თოფ ბოქსს, თავად სეთ თოფ ბოქსი კი ტელევიზორს უკავშირდება RCA ან SCART შემაერთებული სადენით. თუკი გაქვთ თანამედროვე ტელევიზორი, მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც RCA ან SCART, ასევე HDMI შემაერთებული სადენიც.



RCA SCART HDMI

სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიაში ვიყიდე სეთ-თოფ ბოქსი, რომელსაც არ აქვს RCA შემაერთებული სადენის პორტი. როგორ მივუერთო სეთ-თოფ ბოქსი ტელევიზორს?

სეთ-თოფ ბოქსს, რომელიც შეისყიდეთ, უნდა ჰქონდეს HDMI ან SCART სადენების შესაერთებელი პორტი. SCART სადენი, RCA სასენის მსგავსად, გამოიყენება აუდიო-ვიზუალური აპარატურის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

ვარ სოციალურად დაუცველი, მეკუთვნი თუ არა შელავი სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია?

რეფორმის პროცესში სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით, 70 000 და ნაკლებია, მთავრობამ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ ბოქსები“ შეისყიდა. აპარატურა ხელმისაწვდომი იქნება არაუგვიანეს მიმდინარე წლის მაისისა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისთვის კი სახელმწიფომ „სეთ-თოფ ბოქსების“ საცხოვრებელ ადგილზე მიტანა უზრუნველყო.

ვარ სოციალურად დაუცველი შშმ პირი, აპარატურის მოტანისას, ადგილზე არ ვიშოფვებოდი, როგორ მოვიქცე?

იმ შემთხვევაში, თუ სეთ-თოფ ბოქსის ჩაბარება ვერ მოხერხდა მიმღების საცხოვრებელ მისამართზე არყოფნის გამო, საქართველოს ფოსტის კურიერი 5 სამუშაო დღის ვადაში ხელმეორედ შეეცდება ამანათის იმავე მისამართზე ჩაბარებას. ხოლო თუ კვლავ ვერ მოხერხდა აპარატურის მიმღებისთვის გადაცემა, ფოსტის თანამშრომელი უტოვებს მას შეტყობინებას, რის საფუძველზეც მიეცემა შესაძლებლობა, შემდგომში მიიღოს კუთვნილი სეთ-თოფ ბოქსი.

მიმღები აპარატის ჩაბარების (როგორც მისამართზე, ასევე სერვისცენტრში) უფლება აქვს, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან და ბაზაში რეგისტრირებულ პირს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის მზრუნველს/მეურვეს პირადობის დამადასტურებელი მონომობისა და მზრუნველობის/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სოციალურად დაუცველმა პირებმა, შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, უნდა მიაკითხოთ საქართველოს ფოსტის რაიონულ სერვისცენტრებს, სადაც პირადობის მონომობის წარდგენის საფუძველზე გადმოგეცემათ კუთვნილი „სეთ-თოფ ბოქსი“.

სოციალურად დაუცველის სტატუსი მომენიჭა 2014 წლის დეკემბერში. მეკუთვნი თუ არა „სეთ-თოფ ბოქსი“?

ამ ეტაპზე სუბსიდირება გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით, 70 000 და ნაკლებია.

ვარ სოციალურად დაუცველი, შევიცვალე საცხოვრებელი მისამართი. არ მიიღია შეტყობინება და, შესაბამისად, არც ჩემი კუთვნილი „სეთ-თოფ ბოქსი“. როგორ მოვიქცე?

თქვენ უნდა მიაკითხოთ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს და დაადგინოთ თქვენ მიერ სოციალური სტატუსის მიღებისას დაფიქსირებული საცხოვრებელი მისამართი.

მივიღე „სეთ-თოფ ბოქსი“, მაგრამ არ მუშაობს, ვის მივმართო?

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შექმნილი „სეთ-თოფ ბოქსი“ წუნდებული აღმოჩნდა, მიმღები აპარატი უნდა მიიტანოთ ან გაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0114, ფუნიკულიორის ზედა პლატო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო.

რამდენად უსაფრთხოა სახელმწიფოს მიერ შესყიდული „სეთ-თოფ ბოქსები“?

სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საქონელს ახლავს RoHS და CE სერტიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

რა ღირს „სეთ-თოფ ბოქსი“?

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახელმწიფოს მიერ შესყიდული „სეთ-თოფ ბოქსების“ საცალო ფასი 19 აშშ დოლარს და 85 აშშ ცენტს შეადგენს. ხოლო სეთ-თოფ ბოქსები, რომლებიც სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში იყიდება, არის სხვადასხვა ფუნქციონალის მქონე და შესაბამისად, ფასებიც განსხვავებული იქნება.

დასასრული მე-9 გვერდზე



„მოვა დრო და ამით გათავისუფლებული პატიმრები სათითაოდ დაუნყებენ დევნას“, — ასეთი იყო იმ ადამიანების მოსაზრება, რომლებიც სასჯელს გლდანის ციხეში იხდიდნენ და ოფიცრები სასტიკად ექცეოდნენ. გლდანის ციხეში მომუშავე პერსონალიდან ერთი იყო გამონაკლისი, რომელიც ცდილობდა, პატიმრების ცემა-ტყეპისთვის თავი აერიდებინა, დანარჩენები კი მაქსიმალურად სასტიკები იყვნენ, რადგან ხედავდნენ, რომ პატიმრების მიმართ გამოვლენილი სისასტიკე ფასდებდა — ზოგს აწინაურებდნენ, ზოგს დიდ პრემიას აძლევდნენ. ყველაფერ ამას წინა ხელისუფლება ერთადერთი რამის გამო აკეთებდა: გლდანის ციხის გაგონებაზე ყველას, ბიზნესმენი იქნებოდა, პოლიტიკური ოპონენტი თუ რიგითი კრიმინალი, შეშინებოდა და გლდანის ჯოჯოხეთში წასვლა არ მონდომებოდა. რეალურად, ასეც იყო — ყველამ იცოდა, გლდანში „სასწაულები“ ხდებოდა და ამ „სასწაულს“ სისასტიკე ერქვა...

ჯოჯოხეთს შიდაჯოჯოხეთიც ჰქონდა და მას კარანტინი ერქვა. 12 კვადრატულ მეტრში 30-ზე მეტი პატიმარი ორი კვირა ჰყავდათ გამომწყვედი, მერე კი კარანტინის დაშლაზე ხდებოდა ის, რისი მცირედი ნაწილიც საზოგადოებამ იხილა. კარანტინის თავის მასხარაც ჰყავდა — ოფიცერი ჩიჩუა. რა ერქვა, არავინ იცოდა, მაგრამ გვარიც საკმარისი იყო. თავისი წვრილი ხმითა და მეგრული აქცენტით ჩიჩუა გლდანის ციხის ნამდვილი კოლორიტი გახლდათ. დაბალი, მსუქანი და 45 წლამდე ჩიჩუა ცდილობდა, სხეულებით სასტიკი ყოფილიყო, მაგრამ...

ჩიჩუა მუდამ კარანტინის ნომერპირველ ოთახთან იჯდა და კამერებს აკონტროლებდა. რამდენჯერმე კი უთხრეს, შუაში დაჯექი, ხმაურს ასე უფრო გაიგონებო, მაგრამ შუაში იმდენად ბინძური ჰქაერი იყო, ჩიჩუას თავში ერჩივნა, გასასვლელთან. იჯდა მთელი დღე, მშვიდი თვალებით იყურებოდა, საღამოს კი ნამდვილ ნადიმს იწყებდა და მთელი ღამე პატიმრებისთვის განკუთვნილ სოსისს მიირთმევდა. არავინ იცოდა, ამდენ სოსისს ჩიჩუას ვინ აძლევდა, მაგრამ ფაქტია — მთელი ღამე სოსისს ცელთაფენს აძრობდა და უპუროდ, ორ ლუკმაზე ჭამდა. ცნობისათვის, სოსისს ისეთი გემო ჰქონდა, ბევრი პატიმარი არათუ ჭამდა, არამედ, სხვადასხვა ურჩევდა, არ ჭამო, კაცმა არ იცის, რისი ხორციაო.

პატიმარი №0578 გლდანის ციხეში მიყვანიდან მეორე დღეს კამერაში აიყვანეს ანუ კარანტინის მთელი „სიაში“ მხოლოდ ერთი ღამით იგრძნო, მაგრამ რად გინდა, ოფიცრებთან შეპასუხების გამო, კარანტინში რამდენიმე თვის შემდეგ დააბრუნეს და სამი კვირა აიყოფეს. სამჯერ აყურებინეს პატიმრების დაშლა, სამჯერ უთხრეს, შენც ეს გელოდებო, სამჯერ წმინდეს მომსახურე პატიმრებმა იატაკიდან სხვა პატიმრების სისხლი და სამჯერ ნახა №0578-მა, როგორ სდიოდა ცრემლები კუთხეში მდგარ ჩიჩუას. მანამდე კი...

ლადო ბედუკაძის მორიგეობა იყო და როცა კარანტინში ე.წ. პრავერკა ჩაატარა, №0578-ის დანახვამ გააოცა... ღამით კი კამერისგან გაიყვანა.

„აქ რა გინდა? ზემოთ რატომ არ ხარ? დააშავე რამე?“ — ჰკითხა ლადომ.

„არაფერი დამიშავებია. რეჟიმი შემოვიდა, პატიმრებზე გაიწიეს და ვკითხე, რა მიზეზით სცემთ-მეთქი. მერე ერთმა იღრიალა,

გლდანის სიხის ყოფილი მასხარა თავეს ტაქსარობით ირჩენს

„არ მომკვდა, რა!“ — სახედმნიფომ ოფიცრ ჩიჩუას პირადი დაცვის დანიშვნაზე უარი უთხრა



ამის „ბლატაობას“ ხომ უნდა მოელოს ბოლოო და კარანტინში გამოშვებული. კამერას ათი მეტრითაც არ ვიყავი დაშორებული, „საკამერნიკების“ ღრიალი გავიგონე. სულ ეს იყო. ახლა აქ ვარ და ამქვეყნიური ჯოჯოხეთით ვტკბები“, — უპასუხა №0578-მა.

„რამე შემიძლია?!“ — ჩუმად ჰკითხა ბედუკაძემ. „სიგარეტები... ეგ არის ერთადერთი, რაც ძალიან მინდა და გვინდა. დანარჩენი არაფერი. ჰო, კიდევ ტუალეტის ქაღალდს არ გვაძლევენ, რაც მაიკები გვეცვა, სულ დახეხეთ. მაგასაც თუ მოგვანვდი, ურიგო არ იქნება“, — უთხრა №0578-მა.

„ყველაფერს „ბასტი“ ან „ბუბუ“ მოგიტანს („ბასტი“ და „ბუბუ“ ზემდეგების მესასხელები იყო, რომლებსაც ლადო პატრონობდა და მათი ნომერი შეიძლება), ოღონდ შენ უნდა მოიფიქრო, ყველაფერ ამას როგორ „გააპრავებ“. კარანტინში სიგარეტი და ტუალეტის ქაღალდი სასწაულია და ეს სასწაული შენ უნდა ახსნა. ბიჭები და მე შარში არ უნდა გავხვიოთ. კარანტინის ყველა კამერაში თავიანთი ჩამშვები ჰყავთ და არ უნდა „გაგებოზრდეს“ ეგ თემა“, — ჩურჩულით თქვა ბედუკაძემ.

ნახევარ საათში, „ბასტი“ №0578-ს ტუალეტის ქაღალდი და სამი კოლოფი სიგარეტი შეაწოდა. პატიმარმა „ნობათი“ მაგიდაზე დადო, კამერას თვალი მოავლო და ჩუმად თქვა: „ეს თუ „გაბაზრდება“, ვილაცას „საქათმეში“ მოუნეეს წასვლა ბორობისთვის და სადაც ამდენი მოვახერხე, რომ ეს შემომიტანეს, არც ჩამშვების სახელის გაგება გამიჭირდება. ახლა ცოტას თუ დამაძინებთ, კარგი იქნება, მით უმეტეს, ჩემი რიგია“.

კარანტინის კამერაში სამი ნარი იდგა და პატიმრები რიგობით, დღე-ღამის განმავლობაში, 2-3 საათით იძინებდნენ. ის იყო, ჩათვლით, ვილაცამ მხარზე ხელი ფრთხილად შეახო და შეაჯახვლარა. №0578-მა გაბრაზებულმა ახედა, პატიმრის გაღვიძება, მით უმეტეს, კარანტინში, ძალიან ცუდი ჟესტი იყო. „ჩიჩუამ თქვა, გააღვიძეთ“, — ჩუმად უთხრა პატიმარმა.

№0578 ხარზე წამოვიდა, თვალები მოისრისა და გადმოიღებულ „კარმუშკაში“ ჩიჩუას გახედა.

„შენ ხარ, ხომ, №0578? ჰოდა, შენი დედაც... აეთრიე ახლა ფეხზე, ხელები დაინყე ზურგსუკან, აქეთ არ გამოიხელო და ხმა არ გაიღო. შენი დედაც-მეთქი, არ გესმის, აეთრიე ფეხზე“, — ბოლო ხმაზე წილია ჩიჩუა.

№0578 ვერაფერს მიხვდა, ჯერ კამერას მოავლო თვალი, მერე ჩიჩუას გახედა და...

„შენი დედაც და შენი ოჯახიც... სულ „გამოსირდი“, ხო, ამხელა კაცი? რა გინდა, რატომ მაგინებ, შე ნაბიჭვარო“, — იღრიალა №0578-მა და რამდენიმე პატიმარმა თავში ხელი წაიშინა. იცოდნენ, ახლა რეჟიმი მოვიდოდა და ყველას უმოწყალოდ სცემდა.

„რეჟიმი, რეჟიმი საკარანტინო ნაწილში, ბუნტია, ბუნტი“, — განწირული ხმით ჩასძახა ჩიჩუამ რაციაში და რამდენიმე წამში კამერის კარი ხმაურით გაიღო. რეჟიმს ბედუკაძე შემოუძღვა.

„ეს იყო, ლადო, ამან მაგინა და საცემრად გამოინია“, — ჩიჩუამ ხელი №0578-ს დაადო და ლადომაც პატიმარი კამერიდან უხმოდ გაიყვანა, მერე რეჟიმს უთხრა, მარტო გავერკვევო და ჩიჩუასთან და №0578-თან ერთად დარჩა.

„რა მოხდა?!“ — იკითხა ბედუკაძემ.

„მეძინა, ამან გააღვიძებინა ჩემი თავი და თვალი არ მქონდა გახელილი, დედა მაგინა. საერთოდ არაფერი დამიშავებია, მართლა მე ამის დედაც და ერთხელაც იქნება, ასეთი გამოხტომებისთვის რომელიმე ოფიცრს ყელგამოლადრულს იპოვიან გარეთ. რას მერწოდი, მითხარი, რა დავაშავე?!“ — №0578 ისევ აყვირდა.

„რა დააშავე და, შენ რომ დაიძინე, სხვები ხმამაღლა ჩურჩულებდნენ. შენ კამერიდან ჩამოწეული პატიმარი ხარ და შენ უნდა დარჩეო? რა, აქ როგორ მოიქცენ, შენ კიდევ გეძინა“, — ამაყად გამოაცხადა ჩიჩუამ და ბედუკაძეს გადახედა.

„რაა?!“ — გაოცდა №0578, — მართლად დედა გაქვს საგინებელი მაგის გულისთვის. რომელი „ნაღზირატელი“ მე მნახე, ამათი ჭკუა დავარიგო? მაგისთვის გამაღვიძე და მაგისთვის მაგინე, შე დედააფეთქებულუო?“.

„ხედავ, ლადო, ისევ მაგინებს, უთხარი რამე“, — განწირული ხმით თქვა ჩიჩუამ.

„ახლავე მოვალ“, — ღიმილით თქვა ბედუკაძემ და გატრიალდა. ჩიჩუა №0578-თან მარტო დარჩა და შეიშმუშნა.

„მომისმინე, ჩიჩო, აქედან, ადრე თუ გვიან, გავალ. შენ თუ ახლა პატაკს დაწერ და ტვინს გაბურღავ, მუხამემდე თუ მიიტან ამ ამბავს, გპირდები, მინდინ ამოგიღებ და მაგ ღაბაბს, ასე საინტერესოდ რომ გკივია, დაგიზიანებ. შენც იცი, რომ ახლა არაფერი დამიშავებია და ტყუილად ამკიდეს ამბავს. დაგბრიდავ-მეთქი, დააყენე ერთი ადგილი, გესმის?!“ — პატიმარმა ჩიჩუას ყველაფერი ეს ჩურჩულით უთხრა და ბედუკაძეც დაბრუნდა.

„შენზე წერია გაზეთში, წაიკითხე მერე“, — მიაჩნა გაზეთი №0578-ს და ჩიჩუას მიუბრუნდა — რა ვქნათ ახლა, დავესაჯოთ თუ ვითომ არაფერი მომხდარა?!”

„არაფერი, უფროსო, დავძმაკაცდით ჩვენ უკვე, ჩათვალე, არაფერი მითქვამს, კარგი ბიჭია ეს“, — ჩაარაკრაკა ჩიჩუამ და №0578 კამერაში დააბრუნეს.

ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ, №0578 სხვა ყოფილი პატიმართან ერთად, „ახმეტელის“ მეტროსთან მეგობარს ელოდა. უცებ პატიმარი დაიძაბა, №0578-ს ხელი მოკიდა და იმ მხარეს მიახედა, სადაც ტაქსების გაჩერება იყო.

„იცანი, იმ „ოპელში“ ვინ ვის?!“ — ჰკითხა №0578-ს.

„ვა, ჩიჩო?! როგორ არ ვიცანი. მოკლედ, მე ეგ სახეზე მიცნობს, შენ უთხარი, გლდანულაში ამიყვანეო და მე უკან ჩავჯდები, კისერი ისევ ისეთი გასიებული აქვს და ვერ მოატრიალებს. იქ კიდევ ცოტა „მივაკარაოთ“ და ეგ არის“, — სწრაფად თქვა №0578-მა და ორ წუთში მეგობრები ჩიჩუას ტაქსით გლდანულაში მიდიოდნენ.

„განათლებული კაცი ხარ, გეტყობა, რა გაგაჭირდა, რომ ტაქსარობ?“ — ღიმილით ჰკითხა წინ მჯდომმა და ჩიჩუაც მოყვა, როგორ დაამთავრა ორი უმაღლესი, მაგრამ ცხოვრებამ აიძულა, ტაქსისტი გამხდარიყო და...

„ახლა არსად მუშაობ?“ — შეაშველა №0578-მა და სარკეში შეამჩნია, როგორ დაიძაბა მძღოლი.

„რომ ვმუშაობდე, რა მინდა ტაქსზე?!“ — თავი მოისაწყლა ჩიჩუამ, წამით სარკეში უკან მჯდომის სახე შეათვალა და... მამინვე დაამუხრუჭა.

„რას მერჩით?! შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია... გახსოვს, მამინ რომ მაგინე, ეგეც ხომ შეგარჩინე და არ „გაგებოზრე“... არ მომკლათ, რა“, — ჩიჩუამ ტირილი დაიწყო.

„ჩემზე არაა ლაპარაკი, პატიმრები ჩვიან, ჩიჩუა სისხლს გვიშრობსო“, — შეუტია №0578-მა.

„ტყუილია, შეილებს გეფიცები, შენს თავს გეფიცები“, — ტირილს უმატა ჩიჩუამ.

„გახსოვს, რომ გითხარი, გარეთ შეგხვდები-მეთქი?!“ — ჩაკეთხა №0578.

„კი, მახსოვს“, — სლუკუნით თქვა ჩიჩუამ.

„ისიც თუ გახსოვს, რას დაგპირდი?!“ — ხმაში სუსხი გაურია №0578-მა.

„არა... არა, ჩვენ ხომ შევთანხმდით, ძმობა ხომ შევეფიცეთ“, — ბოლო ხმაზე ატირდა ჩიჩუა.

„ჰოდა, შენზე თუ ვინმე იტყვის, რამე გავგიფუჭაო, იცოდეს, ისევ გიპოვი. ვასაგებია?!“ — უთხრა №0578-მა.

„გასაგებია, გასაგებია, — მიატირა ჩიჩუამ და როცა ბიჭები მანქანიდან ჩადიოდნენ, მიაახა, — ფული არ მინდა, ბიჭებო, ხომ იცით, ძმობაში ყველგან ნავიყვანთ ნებისმიერ დროს...“

მომხდარის შემდეგ, ჩიჩუამ სახედმნიფოს პირადი დაცვის დანიშვნა მოსთხოვა, რაზეც, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილით უპასუხეს.

სიანლა

რა უნდა ვიყოლეთ სიფრული გაუწყალობის შესახებ?

მე-მ გვერდიდან

რატომ არ არის გათვალისწინებული მონტაჟი სოციალურად დაუცველებისთვის?

ციფრული მაუნყებლობის სააგენტოს აქტივობა შეზღუდულია და დამოკიდებულია მის ბიუჯეტზე. სააგენტოს 2015 წლის ბიუჯეტში, სამწუნხაროდ, მონტაჟისთვის გათვალისწინებული ხარჯები დამტკიცებული არ არის. თუმცა მონტაჟთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ციფრული მაუნყებლობის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ყველა საინფორმაციო მასალაში.

ციფრული მინისზედა ღია საეთერო მაუნყებლობისთვის გამოგვადგება თუ არა თანამგზავრული თეფში ან რისივერი?

თანამგზავრული თეფში ან რისივერი არ გამოგადგებათ. თქვენ დაგჭირდებათ DVB-T2 სტანდარტის ციფრული სიგნალის მიმღები მონწყობილობა „სეთ-თოფ ბოქსი“ და სახლის სახურავზე დამონტაჟებული ანტენა (იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენებაც).

ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია, საეთერო მინისზედა ციფრული და საკაბელო ტელევიზია ერთდროულად მიენოდებოდეს მომხმარებელს ერთ ტელევიზორში.

დიახ, ზოგადად ეს შესაძლებელია. ამ ორი სიგნალის შესაკარება საჭიროა სატელევიზიო სიგნალის სპლიტერი/კომბაინერი, (ანუ გამყოფი/შემკრები) აღნიშნული მონწყობილობის შექმნა შესაძლებელია შესაბამისი პროფილის მალაზიებში. საკაბელო ტელევიზიის კაბელი უნდა მიუერთდეს სპლიტერის ერთ რომელიმე შესასვლელს, ანტენიდან გამოშვებული სადენი კი მეორე შესასვლელს. სპლიტერის გამოსასვლელი მიუერთდება ტელევიზორის საანტენო შესასვლელს.

შეიძლება თუ არა საკაბელო და მინისზედა საეთერო, ან თანამგზავრული და მინისზედა საეთერო მაუნყებლობა ერთდროულად მივიღოთ?

შეიძლება, თუ სეთ-თოფ ბოქსი ორივე ტექნოლოგიურ პლატფორმასთან თავსებადია.

რით განსხვავდება სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა მაღალი გარჩევადობის პროგრამისგან?

სტანდარტული გარჩევადობის პროგრამის საშუალო სიჩქარე 2.16 მბ/წმ-შია, ხოლო მაღალი გარჩევადობის პროგრამის სიჩქარე 5-დან 8 მბ/წმ-მდეა, იმის მიხედვით თუ რა ტიპის პროგრამა გადაიცემა. ჩვეულებრივად, მაღალი გარჩევადობის სპორტული პროგრამების ტრანსლირებისას უფრო მაღალი სიჩქარე გამოიყენება.

რა საშუალებებით შემიძლია მივიღო ციფრულ მინისზედა ღია საეთერო მაუნყებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია?

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სააგენტოს მიერ მომზადებული და ეროვნულ და ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსებული ვიდეორგოლებს; ბუკლეტების (დარიგების 2 ეტაპით მარტსა და მაისში); პრესაში განთავსებული სტატიების, სააგენტოს ვებ (www.digitaltv.ge) და სოციალური (www.facebook.com/Digitaltv.ge) გვერდების, ასევე ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქციის საშუალებით, რომელიც თან ახლავს მთავრობის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შექმნილ „სეთ-თოფ ბოქსებს“; რეფორმასთან დაკავშირებული მასალა განთავსებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდებზე. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიაკითხოთ საქართველოს მუნიციპალიტეტების წმმუნებულებს-გუბერნატორებს. 24-საათიანი რეჟიმში მუშაობს ცხელი ხაზი (ტელ 1480), შესაბამისად, მოსახლეობას დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია სასურველი და დეტალური ინფორმაციის მიღება.



ადვილი

		3		4					
	1	5						7	4
4					7	6			5
2			9		1	5			
				6					
		9	5		8				2
9		8	2						3
3	4						2	5	
				5		9			



სტანდარტი

	6			3					8
	1		2	9				3	
					4	7			
			7			8		1	
1	2			9					
		5	1						
	3			6	7			2	
6			8					1	



რთული

					4		1		
8	4	5	7		3				
2					4		8		
	6				2	3			
9								2	
		4	6				7		
	8		4					7	
			8	7	9	6	5		
5	9								



ექსპერტი

		3	1					4	
					2	1	9		
				5			8	3	
		4			5	3	1		
1				8					5
	8	5	3			4			
9	4			7					
	2	1	9						
6					8	9			

შრომისმოყვარეობა მავნებელია

ზედმეტი შრომისმოყვარეობა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, — დაასკვნეს ყველაფრის მკვლევარმა ბრიტანელმა სწავლულმა. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან ირწმუნებიან, რომ 11-საათიანი სამუშაო დღის დროს ინფარქტის ალბათობა 70%-ით იზრდება. კვლევა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და მეცნიერები სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებს აკვირდებოდნენ. შედეგად, ცნობილი გახდა, რომ მათ, ვინც დღეში 11 საათს მუშაობს, გულის დაავადებების განვითარების რისკი ეზრდება, ამიტომ სწავლულმა ზედმეტი შრომისმოყვარეობა ნიკოტინს, ალკოჰოლსა და ნარკოტიკს გაუთანაბრეს.



ამერიკელები ტყვიაგაუმტარ დივანს გაყიდნან

ამერიკულმა კომპანიამ Charles Alan Inc შეიმუშავა მსოფლიოში პირველი, ტყვიაგაუმტარი დივანი, ჩამონტაჟებული იარაღის შესანახი სეიფით. სიახლე, რომელსაც ავტორებმა Couch Bunker უწოდეს, არსებითად, ჩვეულებრივ დივანს ნარმოადგენს და პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენება. მხოლოდ დამატებით ოპციად დაფარული სეიფი აქვს, სადაც მთელი არსენალი ჩაეტევა. უფრო მეტიც, დივანის ბალიში ტყვიაგაუმტარია და შეუძლია ახლოდან ნასროლი, „მაგნუმის“ 44-კალიბრის ტყვია შეაკავოს. ბალიში შეიძლება ფარის რანგში გამოყენოთ, თუ სახლში მოულოდნელად თავს დაგესხმიან. დიდი ბრიტანეთისთვის, სადაც დიდად არ არიან გატაცებული იარაღით, დივანის ფასი 6 ათასი დოლარი, ნარმოადგენლად მოეჩვენებათ, აშშ-ში კი, სადაც, შეიძლება ითქვას, „იარაღის ეპიდემიაა“, ალბათ გაყიდვების ჰიტი გახდება. მწარმოებელი აცხადებს, რომ შეკვეთით ასეთ დივანს კლიენტს 6-8 კვირაში დაუმზადებს.



ობობების ფერმა გახსნეს

ჩილეში მეტად უჩვეულო, ობობების ფერმა მდებარეობს. როგორც ჩანს, დღეს უკვე მოდიდან გადადის შინაური ცხოველების რანგში ძაღლის, კატისა თუ ფრინველების ყოლა. ადამიანებს სურთ, შინ ეგზოტიკური არსებები ჰყავდეთ და საამისოდ ერთ-ერთი კანდიდატი ფრინველჭამია-ობობაა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მისი პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. სწორედ ამ მრავალფეხას ფერმა გააშენა ჯერ კიდევ 2006 წელს ჩილეში ხუან ორელიანომ. დღეისთვის მას უკვე ხუთი ათასზე მეტი ბინადარი ჰყავს. ობობები, დიდი ზომების (14-17 სანტიმეტრი) მიუხედავად, საკმაოდ მშვიდი ხასიათით გამოირჩევიან. მამრები სამ წელზე მეტ ხანს ვერ ცოცხლობენ, მდედრი ობობა კი 35 წლის ასაკამდეც აღწევს. ისინი ძირითადად მწერებითა და პატარა ობობებით იკვებებიან, ფერმაში სპეციალურ ტერარიუმებში გამოჰყავთ და შემდეგ საექსპორტოდ ევაროპასა და აზიაში გზავნიან.



წინა ნომერში გასული სკანოკრდისა და სულოკუს პასუხები

1	9	8	7	6	2	5	4	3
3	7	6	1	5	4	9	2	8
4	5	2	3	9	8	1	6	7
9	4	1	8	7	6	3	5	2
2	8	5	4	3	9	7	1	6
7	6	3	2	1	5	4	8	9
8	1	9	6	4	7	2	3	5
5	2	4	9	8	3	6	7	1
6	3	7	5	2	1	8	9	4

2	7	4	3	6	9	5	1	8
5	6	3	2	1	8	4	9	7
9	1	8	5	4	7	6	2	3
4	3	1	9	2	6	8	7	5
8	5	2	7	3	1	9	4	6
7	9	6	4	8	5	1	3	2
3	2	9	8	5	4	7	6	1
6	8	7	1	9	3	2	5	4
1	4	5	6	7	2	3	8	9

2	5	6	8	3	1	9	7	4
7	4	1	2	9	6	8	3	5
9	8	3	7	5	4	2	6	1
6	1	9	5	4	7	3	2	8
8	3	7	1	2	9	5	4	6
5	2	4	3	6	8	1	9	7
4	9	2	6	8	5	7	1	3
3	7	8	4	1	2	6	5	9
1	6	5	9	7	3	4	8	2

3	1	4	7	2	6	9	8	5
9	8	7	1	5	4	6	3	2
2	6	5	3	9	8	1	7	4
1	9	6	8	7	5	4	2	3
8	7	3	6	4	2	5	1	9
4	5	2	9	1	3	8	6	7
6	2	1	5	3	9	7	4	8
7	4	9	2	8	1	3	5	6
5	3	8	4	6	7	2	9	1

მე-12 გვერდი: 1. იონოსფერო; 2. კორსარი; 3. ინტუიცია; 4. ნატანები; 5. სიამი; 6. ოსტანკინო; 7. სიზარიტი; 8. რელე; 9. სტატია; 10. ანონსი; 11. კობდე; 12. ტაბულა; 13. ონაგრი; 14. ოქტეტი; 15. იანკი; 16. ქონი; 17. ბენცი; 18. ნირო; 19. აბორიგენი; 20. ერგი; 21. ჰობოი; 22. მამალილოგია; 23. იუტა; 24. ბაია; 25. დინა; 26. ადიტი; 27. გოდერძი ჩოხელი; 28. ანტვერპენი; 29. ნიანგი; 30. ლუმპიერები; 31. ზაქიჭამია; 32. ემუ; 33. არი; 34. ალიზი; 35. რეპი; 36. პალანკინი; 37. ტიარა; 38. ბლუ; 39. მეტროკა; 40. ადლი; 41. ექიმი; 42. სამარე; 43. მათი; 44. ალილი; 45. ძირა; 46. სიდი; 47. მჭლე; 48. ოკა; 49. სილა; 50. პაპაია; 51. გელაი; 52. ალისა; 53. გოა; 54. ტერ; 55. აირი; 56. ათი; 57. ოე; 58. ფინაჩი; 59. მთვარე; 60. სიმბა; 61. ნანი; 62. ფხა; 63. აჩი; 64. შერია; 65. კანოე; 66. გოცი; 67. შალითა; 68. ოსლო; 69. სიმინდი; 70. ატა; 71. აკვა; 72. სლაი; 73. კამპანია; 74. ილია; 75. ონი; 76. ალა; 77. პოლიცია; 78. იო; 79. ელი; 80. არტელი; 81. ომეგა; 82. იო; 83. ია; 84. კაკა.

ბიბანტური საზოგადოებრივი ტუალეტი ააშენეს



ჩინელები ასლების უზადლო ოსტატები არიან — მათ არა მხოლოდ ნივთების, ზოგიერთი ცნობილი ქალაქის ზუსტი ასლებიც კი ააგეს. ამჯერად ქალაქ ჩუნცინში, ერთ-ერთ სმაურიან ქუჩაზე გაჩნდა გიგანტური საზოგადოებრივი ტუალეტი, რომლის არქიტექტურაც სტილისტიკით ძალიან ნააგავს ესპანელი გაუდის არქიტექტურას, რომელიც ბარსელონას გუელის პარკში მდებარეობს. ერთ-ერთი ინგლისურენოვანი გამოცემა იმასაც წერს, რომ გაუდი ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდა, რომ იცოდეს, მისი ქმნილება გრანდიოზული საზოგადოებრივი ტუალეტის შექმნის წყაროდ იქცა. შეურაცხყოფილი ადამიანები სოციალურ ქსელში იმასაც კი წერენ, რომ საჭიროა, ჩინეთს სამაგიერო გადაუხადონ და სადმე საზოგადოებრივი საპირფარეო ააგონ „აკრძალული ქალაქის“ სტილში.

1. რომის ერთ-ერთი ბორცვი									2. მამალინთა სასულიერო სასწავლებელი										
3. ისტორიის მუზე	4. ფარული დაცინვა	5. სოფელი კასპის რაიონში								ნვოლ მოძღვრ. მშენებრების ფორმათა შესახებ	7. ისლამური კალენდრის მე-9 თვე	8. ნახშირმგაფა ნატრიუმი							
9. იაპონელთა ეროვნული სამოსი	10. საქართველოსგან სეპარირებული რეგიონი	11. ღილი ზომის მღრღნელი								12. მართლ-მსაჯულუბის ქალღმერთი ბერძ. მით.	13. მუდრო, უმფოთველი ცხოველები	14. ულვა ნაწილები ნაწილის გადასვლის შეწყვეტა							
15. ბალტიისპირეთის სახელმწიფო										16. ერთგვარი ნამცხვარი									
		17. მახრჩობელა გველი								18. ბანქოს ფიგურა									
19. დაბალი და ფართო დივანი	20. არაოფიციალური მაკულური ბირგაზე	21. „დეკამერონის“ ავტორი								22. წითელი ფერის ძვირფასი ქვა									
										23. ბარბის ბოიფრენდი	24. ფრანგი პოეტი								
25. ღიაობის სამეფოს დედაქალაქი		26. ტრიფონის ცოლი „მერკური-ლემში“								27. ცხენოსნური გუნდური თამაში	28. ვირის გასარევი შესახელი	29. შვეიცრეთის ავტონომიური რეპუბლიკა	30. მზის სისტემის პლანეტა						
		31. თავდაუწყობის მდინარე ბერძ. მით.									32. ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში	33. ცხერის მატყლის ცხიმი							
34. ცხიმიანი სიმსივნე		35. აზერბაიჯანის დედაქალაქი								36. სამკურ. ღონისძ. ორგანიზაციის გასაჯანსაღ.			37. გარმონის ტიპის საკრავი	38. ავტოსავაზო შემთხვევა					
39. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში											40. მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი	41. ტოკიოს ძველი სახელწოდება							
42. თხების ჯოგი	43. წყალბურთის სახელწოდება ევროპაში		44. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში		45. უმაღლესი დიპლომატიური რანგი		46. ლოცვის წიგნების დასაღებ მავიდა კულტურაში												
		47. საფეხილე ყუთი წისქვილში		48. ბატონის მოგების დრო		49. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ. მით.													
		50. სოფელი სენაკის რაიონში		51. ტილის ფარული მზისაგან დასაცავად		52. ქიმიური ელემენტი	53. მალაიზ. დედაქალაქი	54. „ვეკლაფის“ მკურნალი											
55. ზევის დედა	56. პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულში	57. საფეხურებიანი ასასვლელ-ჩამოსასვლელი			58. ისტორიული ციხესიმაგრე აჭარაში		59. ძველ ქართულ საგანმანათლებლო სწავლების სახეობა	60. მხარე, მიდამო											
		61. ლუარსაბ თათქარის სიმამრის სახელი			62. წყალქვეშა კლდე														
63. სამიზნე თოფის ლულაზე	64. მრწამსი, მსოფლმხედველობა		65. რეესორი კუსტურიცა	66. თავაშვებული ქუფი, ღრეობა		67. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული	68. ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი რომანი												
		69. ვაზების მწკრივი ფენახში			70. თბილისის ერთ-ერთი უბანი	71. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია													
72. გამადიდებელი შუშა	73. ადამიანის სამეტყველო ორგანო		74. პატარა რესტორანი				75. იტალიური წარმოშობის ამერიკელი ტენორი	76. საშხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი მწვანე-აერთი											
			77. პერსიესის დედა		78. პრობანგანდისტული მუშაობა მოსახლეობაში	79. ხელსაწყო, რომელშიც ამაგრ. საგანს დამუშავებისას	80. საგნის მონახაზი, კონტური	81. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში											
	82. მალტის დედაქალაქი	83. დღის მომდღეს ანუ -	84. ესპერანტოს ვარიანტი	85. თავისუფალი ფორმის ნარკვევი	86. ინდიელთა ტომი	87. ვისიმე თანხლები სამხედრო დაცვა													

მძიანი ყავა - ღვიძლის ყიჭოს წამალი



ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ყავა არა მხოლოდ გემრიელი, არამედ ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სასმელია ადამიანის ორგანიზმისთვის. მაგალითად, ყავა გვაძლევს საშუალებას, თავიდან ავიცილოთ ღვიძლის კიბო — დაავადება, რომელიც პრაქტიკულად არ იკურნება. ასეთი დასკვნა სწავლულგებმა ჩატარებული კვლევების შედეგად გააკეთეს. ინიციატორები ექსპერიმენტისა, რომელშიც დაახლოებით 8 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, კიბოსთან ბრძოლის მსოფლიო ფონდი და ამერიკის სიმსივნეთა შემსწავლელი უნივერსიტეტი იყო. ყველა მონაწილიდან 25 ათასს ჰქონდა ღვიძლში სიმსივნური წარმონაქმნი. ამასთან, თუ ადამიანი დღეში ერთ ფინჯან ყავას (უშაქროდ და უცხიმო რძით) მიირთმევდა, მას დაავადების განვითარების რისკი 14%-ით უქვეითდებოდა. გარდა კიბოს პროფილაქტიკისა, ამერიკელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ყავა სასარგებლოა დაბეჭდის დროსაც, რადგან ნორმაში მოჰყავს მეტაბოლიზმი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმილი და მითაგარი რედაქტორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
 მმდიაჯგუშვი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინო ჯაფარიძე.
 სტილისტი - ნინო ებანოძე
 დიზაინერი - გიორგი ლომსაძე
 ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

9 771987 1869003

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.